# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.


ხუთშაბათი, 3 ნოემბერი, 2011 წელი.

№207 (6838)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.




## ბიძინა ივანიშვილი:

# ჩემი მიზანია ნამდვილი დემოკრატიის შექმნა, ნამდვილი თავისუფალი მედიის შექმნა... ③-④

სარედაქციო ფოსტიდან

## იმედის ნაპერწკალი

საქართველოს ცის კაბადონზე კაშკაშა ვარსკვლავი გამოჩნდა, რამაც იმედის ნაპერწკალი გააჩინა. ვულოცავ ჩვენს ქვეყანას იმედის ჩასახვას.

**გოგი ბიჭაშვილი**

ქ. თბილისი, 2/XI

## მართლა შეჭამა ② ბიძინა ივანიშვილის პინგვინმა ბელურა?

## „დაჩქარებული“ ანდაზა, ⑤

ანუ როგორ შეიძლება გადააუკეთდეთ მაავანთ ერთი ბრძნული ხალხური გამონათქვამი



„მონანიების“ კადრი: საფლავიდან ამოთხრილი არავიძე.

## ჯერ თვითლუსტრაცია და შემდეგ — ჰარაკირი, ⑥

ანუ „ამია პიკასოს ბიჭი? ამისი იმედი აქვს პიკასოს?“

## ივანიშვილი-ჟურნალისტების რაუნდი ერთმნიშვნელოვნად ივანიშვილის სასარგებლოდ დასრულდა ⑦

„პრესსასამართლო“

# მართლა შეჭამა ბიძინა ივანიშვილის პინგვინმა ბეღურა?

## ჟურნალისტები შეტევას იწყებენ და... აგებენ



ბოლოს და ბოლოს, 1 ნოემბერს გაიმართა ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენცია, რომელსაც რა ხანია აგრერიგად ელოდა საზოგადოება.

პრესკონფერენცია ბატონმა ბიძინამ მოკლე განცხადებით დაიწყო.

— მოგეხსენებათ, საჯარო ფიგურა არასდროს ვყოფილვარ. ჩემს ცხოვრებაში სულ ერთი ინტერვიუ მაქვს მიცემული, ბოლო თვეში კი სამი ინტერვიუ მივეცი. ეს არის ჩემი პირველი პრესკონფერენცია, არ დაგიმალავთ, ცოტას ვღელავ, მაგრამ გპირდებით, რომ ვიქნები მაქსიმალურად გულწრფელი.

მოკლედ მოგახსენებთ, თუ რამ მიმაღებინა პოლიტიკაში მოსვლის გადაწყვეტილება. 2007 წლის 7 ნოემბრის ამბებს მოჰყვა 2008 წლის არჩევნები და დავინახე, რომ სააკაშვილი მოვიდა გაყალბებული არჩევნებით. ამის შემდეგ ყურადღებით ვაკვირდებოდი ოპოზიციურ სპექტრს, რათა გარკვეული დახმარება გამეწია, რათა მომავალ არჩევნებში მოსულიყო ლეგიტიმური მთავრობა.

დაკვირვებისა და ანალიზის დროს ვნახე, რომ სააკაშვილმა შექმნა და აამოქმედა ისეთი სიცრუის მანქანა, რომელიც ძალიან რთული იყო გასარჩევად. ყველაზე დიდ ხიფათს ქმნიდნენ ორნილზიანი პარტიები, ფსევდოოპოზიციური პარტიები, პარტიის წევრები, ჟურნალისტებიც და ანალიტიკოსებიც. მიუხედავად ამისა, მე კარგად გავერკვიე სიტუაციაში, ბოლომდე იმედს ვიტოვებდი, რომ შესაძლებელი იქნებოდა ერთ-ერთი პარტიის ფინანსური დახმარებითა და გარედან რჩევების მიცემით მიგვეღწია შედეგისთვის, მაგრამ როდესაც დავრწმუნდი, რომ ეს საკმარისი არ იყო, მივიღე ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ძალიან მძიმე გადაწყვეტილება პოლიტიკაში მოსვლისა, რადგან ვხედავდი, რომ ვკარგავდი სამშობლოს.

მანამდე სულ სხვანაირი მსოფლმხედველობა მქონდა ცხოვრების შესახებ. სამშობლოს სიყვარული იყო ბოლო, რამაც მიმაღებინა ჩემთვის ასეთი მძიმე გადაწყვეტილება.

რა რეაქცია მოჰყვა ჩემს განცხადებას, მოკლედ შეგახსენებთ. სააკაშვილმა თავისი მანქანა აქაც გამოიყენა და მყისიერად გამიუქმა საქართველოს მოქალაქეობა აბსოლუტურად უკანონოდ, ასევე უკანონოდ დააპატიმრეს ჩემს საკუთრებაში არსებული „ქართუ ბანკის“ საინკასაციო მანქანა. გარდა ამისა, ყოველდღიურად ხორციელდება უკანონო ქმედებები თანამშრომლების მიმართ. ეს გრძელდება ყოველდღიურ რეჟიმში.

მაგრამ ამ უწესო თამაშით ისინი ვერ შეცვლიან ჩვენს გეგმას, ვერ გამომიყვანენ სამართლებრივი სივრციდან. აუცილებლად ყველაფერს მივიყვანთ არჩევნებამდე და გავიმარჯვებთ არჩევნებში. რას გავაკეთებთ არჩევნების შემდეგ? აუცილებელი იქნება კონსტიტუციური ცვლილებები. მოგეხსენებათ, კონსტიტუცია უზის წიგნაკად გაიხადეს. აუცილებელია ეს ძირეული ცვლილებები შეთანხმდეს საქართველოს მოსახლეობასთან. პარალელურ რეჟიმში უნდა დავიწყოთ დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნის პროცესი და ეს პროცესი უნდა იყოს შეუქცევადი. შემდგომ — უნდა გათავისუფლდეს მედია. თავისუფალი მედიის გარეშე, მოგეხსენებათ, დემოკრატიულ სახელმწიფოს ვერ ავაშენებთ. უნდა შეიქმნას საინტერესო საინვესტიციო გარემო და ბოლო უნდა მოვუღოთ მთავარ უსამართლობას, იმას, რომ მოსახლეობას არა აქვს სამუშაო. უნდა მივაღწიოთ სრულ დასაქმებას. სამუშაო ადგილების შექმნას გაეწევა მუდმივი მეთვალყურეობა და იქნება ჩვენი პოლიტიკის ძირითადი მიზანი. უნდა გავაღრმავოთ ურთიერთობა ამერიკასა და ევროპასთან და მყისიერად დავიწყოთ ვითარების დალაგება რუსეთთან. უფრო დაწვრილებით, თუ რას გავაკეთებთ, მოგახსენებთ პარტიის პროგრამაში. ყველაფერს ვილონებთ, რათა ავიხდინოთ ქართული ოცნება, რაც ნიშნავს გამთლიანებას, დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობას.

როგორც ვხედავთ, ბატონ ბიძინა ივანიშვილის ამ მოკლე სიტყვაშიც კი ამოუწურავი ზღვაა შეკითხვებისთვის.

თითქოს პრესკონფერენციის მსვლელობაც ასევე საქმიანად უნდა წარმართულიყო, მაგრამ საქმეში ხარ!!.

ამას უფრო „პრესსასამართლოს“ დავარქმევდი, ვიდრე პრესკონფერენციას.

„მოსამართლეებმა“ — თვალებანთებულმა, წამოჭარხლებულმა ჟურნალისტებმა (უფრორე ჟურნალისტმა ქალებმა), ყველაფერი გააკეთეს, რათა პრესკონფერენცია სწორედ ისე წარმართულიყო, როგორც წარიმართა, რათა სატელევიზიო საინფორმაციო ბლოკების წამყვანებს საღამოს კმაყოფილებით ეთქვათ, პრესკონფერენცია არაორგანიზებულად და უწესრიგოდ წარიმართაო.

უფრო „პრესსასამართლოს“ დავარქმევდი-მეთქი, ასე დავიწყე.

ასეც იყო.

შეკითხვა-ბრალდებები უხვად დაისვა. „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ (განსაკუთრებით), „რუსთავი-2“-ის, „იმედის“ ტელეჟურნალისტები და სხვები კითხვებს ტყვიამფრქვევივით ისროდნენ, არა იმისთვის რომ ესა თუ ის საკითხი აინტერესებდათ, არამედ იმისთვის, რომ „საბრალდებო“ ისრები დაეშინათ.

პასუხები კარგად იცოდნენ... ადრე გამოქვეყნებული მასალებით.

მთავარი იყო შეკითხვა ასჯერ უკვე დასმული — „ჩამჭრელი“, „თავის მომჭრელი“, „მაკომპრომეტირებელი“. ამიტომ ფურიებივით იბრძოდნენ მიკროფონისთვის, ამიტომ არ აცლიდნენ და ფეხებზე იკიდებდნენ კოლეგებს, გამოთქვამდნენ უსაბუთო უკმაყოფილებას...

თითქოს პრესკონფერენციის მონაწილენი უნდა დაინტერესებულიყვნენ ქვეყნის პოლიტიკურ კაბადონზე ახლად ამოკიაფებული ვარსკვლავის (ის აშკარად არ ჰგავს სხვებს), სადღეისო ამოცანებით და სახვალიო გეგმებით, მაგრამ მას უხვად დააყარეს აქამდე მრავალგზის პასუხგაცემული შეკითხვები: ხომ არ არის ის „პუტინის პროექტი“, რის საფუძელზე ფიქრობს, რომ პუტინი დემოკრატიულ რეფორმებს ატარებს, რა კავშირი აქვს რუს კრიმინალებთან(?), რატომ დააფინანსა თავის დროზე გენერალ ლებედის არჩევნები, საქართველო უნდა შევიდეს თუ არა ნატოში და ა. შ.

არადა, ყველამ იცის მისი განცხადება, რომ არავისი და მით უმეტეს პუტინის „პროექტი“ არ არის, არ მიიჩნევს, რომ პუტინი დემოკრატია, ის უბრალოდ ისურვებდა მომავალში ურთიერთობა ჰქონოდა დემოკრატიულ რუსეთთან, რომ რუს კრიმინალებთან არასოდეს არავითარი შეხება არ ჰქონია, რომ თავის დროზე მონაწილეობდა არა გენერალ ლებედის, არამედ ელცინის არჩევნების დაფინანსებაში, რათა ქვეყნის სათავეში კომუნისტები არ დაბრუნებულიყვნენ, რომ შესანიშნავი იქნება თუ საქართველო ნატოში შევა და ა. შ.

ვერასდიდებით მიკროფონი ვერ ჩავიგდე ხელში, ანუ უმრწემესი კოლეგა გოგონების არწივის კლანჭებად ქცეული თითებიდან მისი გამოგლეჯა ვერ შევძელი, თორემ განსხვავებით მათი პოლიტიკური „ინსინუაციებისა“, მინდოდა მიმეცა ერთი მარტივი შეკითხვა, რომლის უკანაც ლამის მთელი საქართველო დგას: 20 წელზე მეტია სახელმწიფოს თავისი მოქალაქეების ვალი აქვს — უგზოუკვლოდ გამქრალი საბანკო ანაბრები, კოოპერატიული ბინათმშენებლობის მოტყუებულ წევრთათვის წართმეული თანხები და სხვა. დაზარალებულია მოსახლეობის ყველაზე უქონელი ნაწილი. თვლით თუ არა, რომ ეს აუცილებლად გასასტუმრებელი საშინაო სახელმწიფო ვალია და გამარჯვების შემთხვევაში, როგორ ფიქრობთ ამ პრობლემის დაძლევას?

სამწუხაროდ ვერ შევძელი მიკროფონის ხელში ჩაგდება.

დარწმუნებული ვარ, ბევრ სხვასაც ჰქონდა შეკითხვები, რომლებიც მოსახლეობისთვის ბევრად უფრო საინტერესო იქნებოდა, ვიდრე ის, შეჭამა თუ არა ბიძინა ივანიშვილის პინგვინმა ბეღურა (იყო ასეთი ოდიოზური შეკითხვაც).

საბედნიეროდ, პრესკონფერენციის ყველა, 253-ვე მონაწილე როდი იყო აგრესიულად, პირდაპირ ვთქვათ, მტრულად განწყობილი და მათი შეკითხვები შეძლებისდაგვარად აწონასწორებდა ვითარებას, მით უფრო რესპონდენტის აწონ-დაწონილი, სხარტი პასუხები.

ოღონდ ასეთ შემთხვევაშიც შეინიშნებოდა, რომ ის ურჯუკი ნაწილი პრესკონფერენციისა, ცდილობდა დარბაზს პასუხები არ მოესმინა: ერთი რომ დაამთავრებდა შეკითხვას, სხვები იწყებდნენ, ისე რომ პასუხს არ უცდიდნენ.

ალბათ ამან თუ მისცა საბაბი „რუსთავი-2“-ის „კურიერის“ წამყვანს შხამიანი შენიშვნისთვის, ბიძინა ივანიშვილმა მრავალ შეკითხვას პასუხი არ გასცაო.

გასცა, როგორ არ გასცა, ისეთებსაც კი, წესით, ყურადღება რომ არ ეკუთვნოდა. არ აცალეს, პირში ჩაუცვივდნენ ეს ჩვენი ეგზალტირებული გოგონები და ბიჭუნები.

და აქ, უპირველეს ყოვლისა, უნებურად იბადება შეკითხვა: რატომ?

რატომ შეხვდნენ ჟურნალისტები ამ პირველ პრესკონფერენციაზე ასეთი შეუფარავი აგრესიით კაცს, რომელსაც საქართველოსთვის დღემდე კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია. საქართველოსთვის კი არა, მსოფლიოსთვისაც კი უმაგალითოა მისი ქველმოქმედების მასშტაბი, ქვეყნისთვის უანგაროდ მოხმარებული მილიონები, რაც მთავარია, სურვილი, რომ თავისი თავი შესწიროს ქვეყნის კეთილდღეობას (სხვათა შორის ამის შესახებ პრესკონფერენციაზე ენა არავის დაუსველებია).

იმიტომ რომ პოლიტიკაში მოსვლა მოიწადინა? იმიტომ, რომ გაბედა შეცვალოს დღევანდელი დამყაყებული ყოფა?

მესმის, ასე უცებ ბიძინა ივანიშვილისთვის ხოტბით „ძირის გაგდებინება“ არასწორია, ყველაფერს საგულდაგულოდ დაკვირვება და შეჯერება სჭირდება, მაგრამ არა — მახვილითა და ეკლებით დახვედრა. თუმცა იმ დღეს რესპონდენტი, დიდი მცდელობის მიუხედავად, ვერა და ვერ გამოიყვანეს წონასწორობიდან. „მსხვერპლს“ არაფერი შეშლია და უთანასწორო ბრძოლაში აკი გამარჯვებულიც გამოვიდა, რაგინდ კომენტარებიც აკეთონ ტელეწამყვანებმა.

უბრალოდ, ეს კაცი ამის ღირსი არ არის, არც თავისი ცხოვრების წესით და არც სამომავლოდ გაცხადებული სურვილით. სხვა თუ არაფერს, კეთილგანწყობას მაინც აუცილებლად იმსახურებს.

იმდღევანდელმა პრესკონფერენციამ დაადასტურა, რომ ასეთი ღონისძიება-შეხვედრები ხშირად უნდა მოეწყოს, რათა ბატონი ბიძინა ივანიშვილი და ჟურნალისტური გილდია ერთმანეთს შეეჩვიონ და ასეთი შეხვედრების ფორმატიც უფრო დაიხვეწოს. ალბათ მოვლენათა მსვლელობის კვალობაზე სხვა ბევრი რამეც დაკრისტალდება, თორემ მსგავსი „მასობრივი“ ველური პრესკონფერენციები არაფერს არ აძლევს ტელეეკრანებს მიციებულ მოსახლეობას, გარდა იმის, რომ თვალნათლივ ხედავს როგორ იწყებენ ჟურნალისტები შეტევას და... პირწმინდად აგებენ, მათი ინტერესები კი ეკრანსმიღმა რჩება.




ალეკო ასლანიშვილი



# ბიძინა ივანიშვილი:

# ჩემი მიზანია ნამდვილი დემოკრატიის შექმნა, ნამდვილი თავისუფალი მედიის შექმნა...

## რეპორტაჟი 1 ნოემბრის პრესკონფერენციიდან

პრესკონფერენცია, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა თავის ბიზნესცენტრში გამართა, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ პირდაპირ ეთერში გადაიცა.

ქვემოთ გთავაზობთ უმეტეს ნაწილს ჟურნალისტთა კითხვათაგან და ბატონ ბიძინა ივანიშვილის პასუხთაგან.

**თქვენ პირველი არხიდან ბრძანდებით?** (პირველი არხის ჟურნალისტის შეკითხვის პასუხად) ნუ ნერვიულობთ, ყველაფერი კარგად იქნება! თქვენ გინდათ, პირველი არხის დემოკრატია გავიზიაროთ და ამით ხართ მოხიბლული. ჩემი სურვილია, რომ თქვენ ასე არ დაიძაბოთ. ამდენი შეკითხვა არ მომცეთ ერთდროულად. ასე არ მოგამზადონ. მეორედ რომ მოხვალთ, უფრო თავისუფალი იყოთ და არ იყოთ მომზადებული, დასვათ ის კითხვები, რაც თქვენ გაგაჩნიათ პირადად და არა ის, რასაც გიკვეთავენ. ჩემი მიზანია ნამდვილი დემოკრატიული გარემოს შექმნა, ნამდვილი თავისუფალი მედიის შექმნა და არა ის, რასაც „პირველი არხი", „რუსთავი-2" და „იმედი" წარმოადგენენ დღეს. დავანებოთ თავი ერთმანეთის მოტყუებას. თვალებში შევხედოთ ერთმანეთს და გავუღიმოთ და სიმართლე ვთქვათ. ამ კითხვებს თქვენ ხომ არ სვამთ? თქვენ გიკვეთავენ. თქვენ უნდა დასვათ ის კითხვები, რაც პირადად თქვენ გაწუხებთ, თქვენგან მოდის და არა ის, რასაც ზემოდან გიკვეთავენ. ეს სამი ტელევიზია ამ რეჟიმში მუშაობს დღეს. ეს ყველამ კარგად იცის და არაფერ ახალს არ ვამბობ. მე მხედველობაში მქონდა ის ორი ტელევიზია — „მაესტრო" და „კავკასია", რომლებიც, საბედნიეროდ, არსებობენ, მაგრამ მცირე შეცდომებსაც არ ვპატიობდი და მივუთითებდი, რომ თუ ხართ ოპოზიციური, იყავით ბოლომდე ობიექტურები და არა ნახევრად ობიექტურები. რაც შეეხება თქვენს არხს, დიდი ბოდიში თქვენთან, მაგრამ ჩემი განმარტებები მგონი, აქ ზედმეტია და ყველაფერი ცნობილია. ის თამაშებიც ცნობილია, რა თამაშებსაც თქვენი არხი აწარმოებდა ბოლო სამი კვირის განმავლობაში. რაც შეეხება მოწვევებსაც, ესეც იყო მუდმივი გაუგებრობები პირველი არხის ხელმძღვანელობის მხრიდან, მუდმივი ნერვიულობა. მოკლედ, ძალიან გთხოვთ, მე ვიქნები ძალიან გულწრფელი და იქნებ დღეს რაღაცას მივაღწიოთ. თქვენც იყავით გულწრფელები. მე მოვედი არა ვინმეს დასამარცხებლად, არამედ გასამარჯვებლად. და მე მოვალე ვარ, საზოგადოებას ვუთხრა, რასაც ვფიქრობ და რაც ხდება რეალობაში.

— თქვენი განცხადება, რომ საქართველოს გაუაზრებელმა ქმედებამ გამოიწვია რუსეთის უაზრო ქმედება, ნიშნავს თუ არა, რომ პასუხისმგებლობას ამ სიტუაციაში აკისრებთ საქართველოს და მას მიიჩნევთ, როგორც ომის ინიციატორს?

— პირველ რიგში მე მოვიშველიებ ტალიავინის განცხადებას. მეორე — მე შეგნებულად წამოვიღე საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია რუსეთ-საქართველოს ომის შედეგების შესახებ, რომელსაც ქართულმა დელეგაციამაც მისცა ხმა. ტალიავინის განცხადებაშიც და ამ რეზოლუციაშიც დაფიქსირებულია, რომ ქართულმა მხარემ დაიწყო საომარი მოქმედება. მე შემიძლია დაგიზუსტოთ იმ ქართველებს, ვისაც ეს საწყენად მიგაჩნიათ და შეგახსენოთ, რომ ლიახვის სოფლები იბომბებოდა გაურკვეველი ფორმირებების მხრიდან. სააკაშვილს შეეძლო დაეცვა ეს სოფლები, იქედან რამდენიმე მოსახლე გამოეყვანა, საერთაშორისო ორგანიზაციები მოეწვია და დაეფიქსირებინა, რა ხდებოდა იქ. ამის სანაცვლოდ დაიწყო აბსოლუტურად გაუაზრებელი ქმედება — ცხინვალის დაბომბვა. ეს ფიქსირდება ყველგან, გარდა სამი ტელეარხისა, რომელიც მე უკვე ვახსენე. ისინი და კიდევ სხვა საინფორმაციო საშუალებები ცდილობენ, რომ საქართველოს მოსახლეობას დააჯერონ, რომ ეს იყო აბსოლუტურად სხვაგვარად. ისე რომ მსოფლიოში ყველამ ყველაფერი კარგად იცის. მხოლოდ საქართველოს მოსახლეობას აჯერებენ, რომ ომი დაიწყო რუსეთმა და გაიმარჯვა საქართველომ. გარდა იმისა, რომ ჩვენ გვაქვს ინფორმაციები, მეხსიერება ხომ არ დაგვიკარგავს?! ნუთუ ქართველი ხალხი ასეთი ბრიყვი ჰგონიათ, აპირებენ მათ ზომბირებას. განა არ გვახსოვს, ლომაია როგორ გვმოძღვრავდა, ეს სოფელიც ავიღეთო და სოფლის სახელს ასახელებდა?! განა ამის შემდეგ არ წამოვიდა ის დიდი აგრესია რუსეთის მხრიდან? ჩვენ უნდა შევეჩვიოთ სიმართლისთვის თვალის გასწორებას. როგორ გავბედე და ასეთი რამე ვთქვი... ეს სამი არხი სამი დღის განმავლობაში ჩემი კრიტიკის მეტს არაფერს აკეთებდა. ასეთი იყო სიტუაცია და ვერ მოახერხებენ ჩვენი მახსოვრობის წაშლას და ზომბირებას.

— ბატონო ბიძინა, როდესაც თქვენ გენერალ ლებედევის საარჩევნო კამპანიას აფინანსებდით...

— ლებედი, უნდა წაგეკითხა... ბრძანეთ...

— როდესაც აფინანსებდით ლებედის კამპანიას, თქვენ ხომ იცოდით, რომ 1989 წლის 9 აპრილის დროს ის იყო სადამსჯელო ოპერაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. უფრო მეტიც, ცნობილია მისი მოღვაწეობაც მოლდოვაში, სადაც მას ჯალათიც კი უწოდეს. რატომ ეხმარებოდით ადამიანს, რომელიც ამავდროულად რუსეთის იმპერიის აღდგენის მომხრე იყო?

— თქვენ თვითონ წაიკითხეთ ჩემი ინტერვიუ? რუსული კარგად იცით? იცით, რატომ გეუბნებით, ველოდი ამ კითხვას, ქვეტექსტებით ნუ საუბრობთ, როცა გინდათ გაახმიანოთ ჩემი ნათქვამი, აზრი უნდა გამოიტანოთ და ისე თქვათ. მე ვაფინანსებდი არა გენერალ ლებედს, 7 უმსხვილეს რუსულ კომპანიასთან ერთად, რომელიც მოწვეული იყო ბორის ელცინის არჩევნებზე, მე ვიყავი ერთ-ერთი, რომელიც აფინანსებდა ამ არჩევნებს. ბორის ელცინის არჩევნებს ვაფინანსებდი მე. და თუ კარგად წაიკითხეთ, ყველაზე შედეგიანი სვლები გავაკეთე, მოვახერხე ის, რომ კომუნისტებს არ მიეცათ დაბრუნების საშუალება. ამ არჩევნების დროს, დიდი შესაძლებლობა იყო დაბრუნებულიყვნენ კომუნისტები. მე დიდხანს ვარწმუნებდი შტაბს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩუბაისი, რომ ლებედს შეეძლო ყველაზე კარგად დაებალანსებინა კომუნისტები. საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ვიყავი მართალი და სწორედ ჩემმა პოზიციამ მოახერხა ის, რომ გაიმარჯვა ბორის ელცინმა და ამით საქართველოსაც მიეცა საშუალება არ დაბრუნებულიყვნენ კომუნისტები. მაშინ მთელი დემოკრატიული მსოფლიო ღიად თუ ფარულად უჭერდა მხარს ელცინის გამარჯვებას.

— ბოლო პერიოდში საქართველოში მედია ძალიან რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ხელისუფლების მხრიდან ხდება ზეწოლა როგორც მედიასაშუალებების ჟურნალისტებზე. ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ტ/კ „თრიალეთის" ხელმძღვანელის მდგომარეობა, რომელიც საფრანგეთს სთხოვს თავშესაფარს. როგორ შეაფასებთ ხელისუფლების მოქმედებას და როგორ ხედავთ ამ სიტუაციიდან გამოსავალს?

— საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება მედიასთან გარკვეულია. მედია ზეწოლას განიცდის და აბსოლუტური მონოპოლიზაცია მოახერხა სააკაშვილმა გარკვეული მედიასაშუალებების. გამოსავალი არის ერთი. მოთმინებით მივიდეთ არჩევნებამდე და გავაკეთოთ სწორი არჩევანი. ქვეყანაში დავაბრუნოთ სამართლიანობის გრძნობა, თავისუფალი მედიის გარეშე ვერ დამყარდება დემოკრატია.

— თქვენ დააგროვეთ როგორც რეალური ფინანსები, არამედ შეიძინეთ მორალური პოლიტიკოსის სახელი, როგორ მიგაჩნიათ თქვენს პოლიტიკაში, რა როლს ანიჭებთ მეგობრობას, თანამოაზრეობას და ერთგულებას? შეგიწყობთ თუ არა ეს ხელს თქვენი მომავალი მიზნების მიღწევაში?

— აუცილებლად, ქართველებმა განსაკუთრებული მეგობრობა ვიცით და მე ამით ვსარგებლობ. ერთგულებას და თანამოაზრეობას რაც შეეხება, კადრების შერჩევისას პროფესიონალიზმის შემდგეგ იქნება ერთგულება და თანამოაზრეობა.

— თქვენი შეხედულება ნატოსთან დაკავშირებით, საით უნდა წავიდეს საქართველო და რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრებასთან დაკავშირებით...,.

— ნატო სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციაა, გარდა სამხედრო ინტერესებისა, ნატოს სტანდარტები მოითხოვს ქვეყანაში მაღალი დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობას. სააკაშვილმა თავისი ავტორიტარული მიდრეკილებებით ეს ინსტიტუტები გააუქმა და ძალიან შორს გადასწია ნატოს პერსპექტივა.

რაც შეეხება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას, საინტერესოა, რომ საქართველომ ხმა მისცა. ეს თავისთავად კარგი მომენტია, ვთვლი, რომ რუსეთი მოწესრიგებული გარემოს წევრი გახდა და ძალიან კარგია. მინდა ერთ ნიუანსს მივაქციოთ ყურადღება, ამით საქართველომ სიცრუის მეტი არაფერი არ მიიღო. რაღაც მონიტორინგი მოგვახვიეს თავს. რუსეთი ამას ორი წელია გვეხვეწება და ჩვენ ვამბობდით უარს. რუსეთი ხდება მსო-ს წევრი, საქართველოს არავითარი ეკონომიკური ურთიერთობა არ აქვს მასთან და ეს ყველაფერი მოახერხა სააკაშვილმა, საერთაშორისო ორგანიზაციებმა აიძულა ის და მოაწერა ხელი და ამაში არანაირი ინტერესი არ დევს საქართველოსი. ეს მიუთითებს, რომ სააკაშვილს არანაირი იმუნიტეტი აღარ აქვს საერთაშორისო დონეზე და ეს გააკეთა მხოლოდ იმიტომ, რომ მათთვის გაეწია ანგარიში და მხოლოდ იმ იმედით, რომ სააკაშვილი მათთვის ასატანი გახდეს. აბსოლუტურად პოზიტიურია რუსეთის შესვლა მსო-ში.

— თქვენ პირველ ინტერვიუში ბრძანეთ, რომ აპირებთ რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას, როგორ აპირებთ ამას? ასევე ბრძანეთ, რომ პუტინისგან დემოკრატიულ რეფორმებს ელოდებით, რა გაძლევთ ამ განცხადების გაკეთების საფუძველს და რას სთავაზობთ პუტინს?

— დემოკრატიულ რეფორმებს რაც შეეხება, ეს ჩემი სურვილია და როგორ მოახერხებს ამას, ჩვენ ერთად დავინახავთ. რუსეთთან ურთიერთობის დალაგება, რომელსაც ჩვენ მოსვლისთანავე დავიწყებთ, ვიცი რომ არ იქნება იოლი. დიდი იმედი მაქვს ინტერესთა თანხვედრის. ალბათ თქვენ გულისხმობდით აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის მდგომარეობას, მე იმედი მაქვს, რომ მოხდება ინტერესთა თანხვედრა, ასეთ სიტუაციაში ყოფნა ამ ტერიტორიების არც რუსეთისთვის არის სასარგებლო. ეს ხელს შეუშლის მათ საერთაშორისო თანამეგობრობასთან ურთიერობაში, ამასთან კავკასია არის ფეთქებადი რეგიონი და შიდა უასაფრთხოების მიზნითაც არ იქნება საინტერესო. ძირითდად ეს არის იმედი, რაზეც ვაკეთებ აქცენტს.

თქვენ მარტო სააკაშვილის ტელეიმედი არ უნდა იყოთ, ქართველი ხალხის იმედი უნდა იყოთ, სხვებსაც მიეცით საშუალება, კითხვები დასვან...

— რა რესურსები გაქვთ თქვენ და თქვენს გუნდს, რომ თქვენი მესიჯი მიიტანოთ რიგით ამომრჩევლამდე?

— მე ვაცნობიერებ, რომ კარგად მიცნობს საქართველოს მოსახლეობა. ძირითადი მესიჯი საქართველოს მოსახლეობამ უკვე მიიღო, მიუხედავად შეზღუდული მედიისა. მე არ მაქვს იმის განცდა, რომ სასწაული მოხდება და არჩევნებამდე ან „პირველი არხი", ან „რუსთავი-2" ან „იმედი" შეიცვლის პოზიციას, მაგრამ ძირითადი მესიჯი ყველასთან მივიდა. ყველამ გაიგო, რომ გაჩნდა კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემო და ჩვენ ამ პირობებშიც მივალთ არჩევნებამდე და აუცილებლად გავიმარჯვებთ.

იხ. 4 გვ.

# ბიძინა ივანიშვილი:
# ჩემი მიზანია ნამდვილი დემოკრატიის შექმნა, ნამდვილი თავისუფალი მედიის შექმნა...

(მესამე გვერდიდან) – ძალიან ბევრჯერ ახსენეთ საზოგადოებრივი და ამ წუთებშიც ხართ ეთერში...

**– ეს არ არის თქვენი დამსახურება. თქვენ ხართ საზოგადოებრივი არხი, მე ვარ საზოგადოების წევრი და ამ საზოგადოებასთან ერთად ვაფინანსებ თქვენს ტელევიზიას, ეს არ არის თქვენი და სააკაშვილის ტელევიზია.**

– თუ თქვენ არ დაგიბრუნეს საქართველოს მოქალაქეობა, არ მოგეცათ არჩევნებში მონაწილეობის საშუალება, რას აპირებთ მერე, იქნებით პასიური დამკვირვებელი თუ როგორც უცხო ქვეყნის მოქალაქე ბიზნესმენი დააფინანსებთ დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობას?

**– მე უკანონოდ ჩამომართვეს მოქალაქეობა, მაგრამ ვერ ჩამომართმევენ ქართველობას და სამშობლოს სიყვარულს. სააკაშვილის ვერანაირი ქმედება ვერ შეგვიშლის ხელს მივიდეთ არჩევნებამდე და გარწმუნებთ, რომ არჩევნებში გავიმარჯვებთ!**

– კონკრეტულად ვისთან ითანამშრომლებთ და ვინ იქნება თქვენი დასაყრდენი ძალა, ირაკლი ალასანია, ალასანია რესპუბლიკელებთან ერთად თუ მათ შეიძლება სხვა პარტიებიც შეუერთდნენ, ვისთანაც გქონდათ უკვე შეხვედრები. თუ ეს იქნება ახალი პოლიტიკური პარტია, რომელიც უშუალოდ თქვენი ხელმძღვანელობით თუ არა თქვენი სახელით დაიწყებს მოღვაწეობას?

**– ახალი პარტიის გამოჩენა ჩემი გუნდით შესაძლებელია., ეს გვაქვს გეგმაში. ეს იქნება მაქსიმალურად ახალი სახეები. აუცილებლად ვითანამშრომლებ ალასანიასთან და რესპუბლიკელებთან, ოღონდ რა ფორმაში, ჯერ გადაწყვეტილება არ მიგვიღია. მათთან ერთად მე ვაპირებ თანამშრომლობას ყველა ოპოზიციურ პარტიასთან, და არა მარტო ოპოზიციურ პარტიასთან. მე უკვე გუნდი მყავს და ჩვენ მოვდივართ საქართველოს გასაერთიანებლად.**

– თქვენ თქვით, რომ რუსეთი არადემოკრატიულობის ყველაზე ცუდი მაგალითი არ არის. ალბათ იცით, რომ რეიტინგებში მას ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს, განსაკუთრებით პუტინის მერე და რა გაძლევთ იმის საფუძველს, რომ პუტინი გამოსწორდება და დაიწყებს კორუფციასთან ბრძოლას?

**– ძალიან გთხოვთ ჟურნალისტებს, კარგად გაიხსენოთ ჩემი ნათქვამი და აზრი გამოიტანოთ იქედან. არ ვაპირებ განცხადებები გავაკეთო, როგორი გზით წავა რუსეთი. მე გამოვთქვი იმედი. ვურჩევდი იმ ხალხს, ვინც ცდილობთ აქცენტი გადაიტანოთ რუსეთის შიდა პოლიტიკაზე, ჯობია ჩვენსას მივხედოთ. რუსეთზე არადემოკრატიულ ქვეყნებთანაც ახერხებენ ურთიერთობის მოგვარებას ყველაზე დემოკრატიული ქვეყნები. მე ვთქვი, რომ ჩვენ უნდა მოვახერხოთ რუსეთთან ურთიერთობის დამყარება. ჩვენ უნდა მოვახერხოთ ისეთ რუსეთთან ურთიერთობა, როგორიც იქნება. რუსი ხალხი აკეთებს არჩევანს და ჩვენ უნდა მოვახერხოთ რუსეთის ისეთ მთავრობასთან ურთიერთობა, როგორსაც აირჩევს რუსი ხალხი.**

– დღეს ხელისუფლებისთვის პრაქტიკულად თბილისის გარდა სხვა ქალაქი არ არსებობს, მაინტერესებს, რა გეგმები გაქვთ რეგიონებთან მიმართებაში?

**– კარგად მესმის თქვენი გულისტკივილი. პასუხი ერთია, თბილისიც და რეგიონებიც – ყველა საქართველოს ტერიტორიაა, მოსახლეობა არ უნდა განირჩეოდეს იმის მიხედვით, სად ცხოვრობს იგი. რეგიონები პრაქტიკულად არის მიტოვებული. ყველაფერს გავაკეთებ, რომ საქართველო გამთლიანდეს და რეგიონებში ეკონომიკამ წამოიწიოს.**

– ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში როგორი იქნება თქვენი დამოკიდებულება თანაგუნდელების მიმართ, ხომ არ ექნებათ მათ ხელშეუხებლობის იმუნიტეტი?

**– ჯერ არ ვიცი ალიანსი ჩამოყალიბდება თუ რა ფორმა ექნება პარტიებთან ურთიერთობას, მაგრამ მათთან ურთიერთობისას, მე უკვე რამდენჯერმე ხუმრობით და ნახევრადხუმრობით მოვახერხე ასეთი შეკითხვის დასმა – ჩემთან ერთად რომ აპირებთ პარტიაში მოსვლას, იმის იმედი ხომ არ გაქვთ, რომ რამე მსგავსს მოახერხებთ, რაც დღეს ხდება-მეთქი. არც ერთ შემთხვევაში არ დაიზოგება არც ერთი თანაგუნდელი, ახლობელი, თანამოაზრე, ვინც არ დაიცავს კანონს. ისინი ვერ მიიღებენ ინდულგენციას. მე ვიქნები დაუნდობელი, ამ მხრივ. უნდა აღმოიფხვრას ელიტარული კორუფცია. ზემოდან უნდა დაიწყოს ყველაფერი. გაძლევთ პირობას, რომ ელიტარული კორუფცია აღმოიფხვრება.**

– როგორ წარმოგიდგენიათ არჩევნებში გამარჯვება საარჩევნო სიების დაზუსტების გარეშე და თუ აპირებთ სიების დაზუსტებას და რა მექანიზმით?

**– რა თქმა უნდა, გუნდის ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობს, მაგრამ მე ამ საკითხზე გარკვეული საუბრები მქონდა ალასანიასთან და რესპუბლიკელებთან. კარგად ვიცით, რომ ხელისუფლებას აქვს მექანიზმი, რათა მოახერხონ გაყალბება, მაგრამ გაძლევთ პირობას, რომ ეს არჩევნები იქნება განსხვავებული. და ნუ აქვთ ილუზია, რომ ძველი განმეორდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ დღეს სააკაშვილს საკუთარი დედაც კი არ მისცემს ხმას, საკუთარი გარემოცვაც არ მისცემს ხმას, რადგან აღარავის სჭირდება და კარგად ვიცი მისი ძალადობა როგორ ხორციელდება არა მარტო ქართველ მოსახლეობაზე, არამედ მის ახლო გარემოცვაზეც. სააკაშვილი რეალურად ვერ მიიღებს ხმების რაოდენობას, რომლის გაყალბების შემდეგაც შესაძლებელი იქნება მისი გაფორმება. ის მიიღებს ძალიან ცოტა ხმას. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, იმედიანად იყავით, ჩვენ არჩევნების გზით შევცვლით სააკაშვილის მთავრობას!**

– თქვენ 100:0 მოიგეთ დღევანდელი კონფერენცია და რაც მიკროფონთან ხდება, ეს არის სამარცხვინო. მე და ჩემი კოლეგა გელა ზედელაშვილი არ მოვსულვართ საგანგებოდ მომზადებული და უბრალოდ გავოცდი, ნუთუ ღირდა ამ მაკულატურის დარიგება დარბაზში, რომელიც 2008 წელსაა დაბეჭდილი და თქვენს მიერ ვანო მერაბიშვილის აგენტად შერაცხილმა გოგა ჩრდილელმა დაბეჭდა (ლაპარაკია „ანტიჟურნალისტიკა და ქრონიკული ალიაქოთი“, რომელიც კონფერენციის მონაწილეებს დაურიგდათ, – **რედ**). რაც შეეხება შეკითხვას, კახა მიქაიამ, „დაიცავი საქართველოს“ აქტივისტმა განაცხადა, რომ ბაჩო ახალაია და მიხეილ სააკაშვილი სამეგრელოში აყალიბებენ სამობილიზაციო ჯგუფებს, სადაც კონკრეტული ადამიანები წაიყვანეს, ჯიხაშკარში მოაწყვეს სასროლეთი და მიდის ამ ადამიანების წვრთნა. თქვენ თუ გაქვთ ამაზე ინფორმაცია? თქვენ პოლიტიკაში შემოსვლით გააჩინეთ იმედი, სადამდე მიდის თქვენი თამასა....

**(პასუხად „ალიას“ ჟურნალისტს)**

**– რაც შეეხება ბროშურას, მაგაში ძალიან დიდი დამსახურებაა თქვენი და გაოცებული ვარ, რომ მახსენებთ, თქვენს ადგილზე ცოტა მომერიდებოდა, თქვენ ხართ მთავარი გმირები და უამრავი პასკვილი მოხვდა თქვენი წყალობით. ძალიან კარგი იქნება თუ არ გავიხსენებთ ამას.**

**რაც შეეხება ჯგუფებს, ასეთი ჯგუფების შექმნის შესახებ ბევრს ვერაფერს გეტყვით, ინფორმაცია ძალიან მწირი მაქვს, მაგრამ ფაქტები არ მაქვს. ხოლო თამასა იქნება ერთი - არჩევნებით გამარჯვებამდე! ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ, ნუ გაქვთ ეჭვი, ეს ილუზია თვითონ სააკაშვილს აღარ აქვს.**

– თქვენ განაცხადეთ, რომ ვერ ითანამშრომლებთ ეროსი კიწმარიშვილთან, რომ ასეთი ადამიანი ვერ გახდება თავისუფალი სიტყვის გარანტი, მაშინ როცა მისი ფონდი 2009 წელს ნახევარი მილიონი ლარით დააფინანსეთ, რა მიზნით გადაეცით ეს თანხა. და კიდევ, როგორი იქნება თქვენი პოლიტიკა რელიგიურ, ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობებთან დაკავშირებით?

**– პირველ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ, არ ვიცი, მე ეროსი არ დამიფინანსებია. გულწრფელად გეუბნებით, არ ვიცი.**

**რაც შეეხება უმცირესობას, ისინი არიან ისეთივე წევრები საზოგადოების, როგორც დანარჩენი საქართველოს მოსახლეობა და დამოკიდებულებაც იქნება ისეთივე, როგორც დანარჩენ სხვასთან.**

– თქვენ განაცხადეთ, რომ თქვენს ბიზნესს რუსეთში გაყიდით, უფრო უპრიანი ხომ არ იქნებოდა, ჯერ გაგეყიდათ და მერე განგეცხადებინათ პოლიტიკაში მოსვლის სურვილი და კიდევ ერთი, მიგაჩნიათ თუ არა, რომ თქვენ ხართ კრემლის უკანასკნელი იმედი საქართველოში?

**– ამ შეკითხვას ველოდი. ნამდვილად აჯობებდა ჯერ გამეყიდა, მაგრამ მე ნამდვილად არ ვგეგმავდი პოლიტიკაში მოსვლას წინასწარ, ხოლო ბიზნესის გაყიდვა ერთ და ორ დღეში არ ხდება.**

**რაც შეეხება „კრემლის იმედს“, „რუსულ პროდუქტს“, „აგენტს“, რისი აჟიტირებაც მუდმივად მიდის მედიასაშუალებებში, ანუ საქართველოსთვის მტრულად განწყობილს – ჩემი პასუხი ასეთია: ცხრა წელია რუსეთში არ ვყოფილვარ, ამის არავითარი ფაქტი არ არსებობს, ეტყობა საკმარისი არ აღმოჩნდა. მაშინ ვიტყვი, ადამიანი თავისი ქმედებით უნდა შევაფასოთ, რამდენად მტერია ის თავისი ქვეყნისთვის. მე მაიძულეს და პოლიტიკაში მოვედი. არ მიყვარს ჩემს გაკეთებულ საქმეებზე ლაპარაკი, მაგრამ მომიწია. 20 წლის წინათ 450 ტრაქტორი გამოვაგზავნე საქართველოში, აქედან მოყოლებული სიკეთის მეტი ჩემი ქვეყნისთვის არაფერი გამიკეთებია და რა გაძლევთ იმის თქმის საშუალებას, რომ მე საქართველოსთვის რაღაც საშინელების გაკეთებას ვაპირებ?! უფრო კარგი მაგალითები გაგაჩნიათ, თუ მტრობის გეშინიათ, კარგად გააანალიზეთ სააკაშვილის ქმედება, რასაც ის აკეთებს ქვეყნის შიგნით თუ ქვეყნის გარეთ. ჩემი შენ გითხარიო. თუ ასე განიცდით რუსეთთან კავშირს, ორი კარგი მაგალითი გაქვთ: მულტიმილიონერი ბენდუქიძე პირდაპირ წამოსული რუსეთიდან მრჩევლად დაისვა და საგარეო საქმეთა მინისტრი ვაშაძე. რატომ მათზე არ აღიძრა ეს კითხვები და ჩემზე ვრცელდება, არავითარი საფუძველი რომ არაა ამისა? იმიტომ, რომ სხვა საწინააღმდეგო ჩემს მიმართ არ გააჩნიათ, არ არსებობს ასეთი დარღვევები არც ჩემს წარსულში და არ იარსებებს არც მომავალში. ეს მინდა, რომ კარგად გააანალიზოთ.**

– ხშირად კეთდება ანალოგიები თქვენსა და ბადრი პატარკაციშვილს შორის, რა ურთიერთობა გქონდათ მასთან?...

**– ბადრისთან ძალიან კარგი ურთიერთობა მქონდა, ჩვენ რუსეთში შევხვედრივართ ერთმანეთს. არ გვქონია საერთო ბიზნესი, მაგრამ კარგი ურთიერთობა გვქონდა როგორც თანამემამულეებს. რაც შეეხება პარალელებს, მას პოლიტიკაში მოსვლის გაცხადებული სურვილი ჰქონდა, მე კი იძულებული გავხდი., რადგან ჩემი სამშობლოს დაკარგვის საფრთხე დავინახე და ყველა ჩემი ღირებულებები ვანაცვალე ჩემს ქვეყანას.**

– ემხრობით თუ არა აისაფის ოპერაციაში საქართველოს ჯარისკაცების მონაწილეობას და გაგრძელდება თუ არა მსგავსი რამ თქვენი ხელისუფლების მოსვლის შემთხვევაში.

**– ჩვენ მოვახერხეთ მცირედი პარტნიორობა ამერიკასთან და ეს აუცილებლად გაგრძელდება. ხოლო კონკრეტულად რამდენი ჯარისკაცი უნდა იყოს, დავამატოთ თუ გამოვაკლოთ, ამაზე ანალიზის შემდგომ მივიღებთ გადაწყვეტილებას.**

– თუ თქვენ არ გექნებათ მოქალაქეობა, პარტიის შექმნა და დაფინანსება კანონმდებლობით არის აკრძალული. თუ მოქალაქეობის აღდგენა ვერ მოახერხეთ, თქვენი გუნდიდან თუ არის პიროვნება, რომელსაც პროცესების განვითარებას მიანდობთ თქვენი მანდატით?

**– უნდა დაგარწმუნოთ, რომ საქართველოს მოსახლეობა საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად აუცილებლად ვაიძულებთ სააკაშვილს, დამიბრუნოს მოქალაქეობა. და თუ მაინც მოხდა და ეს არ მოხერხდა, შედეგი იქნება მაინც ერთი და იგივე - ჩვენ მივალთ არჩევნებამდე და არჩევნების გზით შევცვლით სააკაშვილს და მის მთავრობას.**

– იმ შემთხვევაში, თუ თქვენ მოხვალთ ხელისუფლებაში, დაისჯებიან თუ არა ჩადენილი დანაშაულისათვის ხელისუფლების წარმომადგენლები, მაგალითად სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის მკვლელობა და ა.შ.

**– მე გაძლევთ პირობას, რომ ქვეყანაში აუცილებლად აღდგება სამართლიანობა.**

– რა ურთიერთობა გქონდათ კრიმინალურ ავტორიტეტებთან. რატომ დანიშნეთ ბანკის ერთ-ერთ ხელმძღვანელად მკვლელობაში ეჭვმიტანილი ბიკოვი და რატომ რჩება თქვენს ბიზნესპარტნიორად კანადაში იარაღის და ალმასებით უკანონო ვაჭრობაში ეჭვმიტანილი მალკინი?

**– ეს ბროშურა სწორედ ამიტომ დავარიგე, რომ ამ ბროშურაში ამ კითხვებზე მაქვს პასუხი გაცემული. მალკინს რაც შეეხება, მე 7-8 წელია მისი პარტნიორი აღარ ვარ. მესმის, რომ თქვენ ჩამჭრელი კითხვები მოგიმზადეს. ახლა მოისმინეთ ჩემი პასუხი. ეს გვარები ქართველ მოსახლეობას არ აინტერესებს, მაგრამ აქეთ გინდათ საუბარი რომ წაიყვანოთ. ამიტომაც დავარიგე ეს ბროშურა, რომ წაიკითხოთ პასუხები. როდესაც 2008 წელს გავწყვიტე ურთიერთობა სააკაშვილთან, მას შემდეგ ერთ-ერთ დაქირავებულ მედიაჰოლდინგში დაიწყო თავდასხმა ჩემზე. არსად არ ჩნდება ილუზია, რომ მე სადმე გადავკვეთე კრიმინალური ხაზი. მე ყოველთვის ვახერხებდი გამჭვირვალე ბიზნესი მეწარმოებინა.**

– თქვენ არ გისაუბრიათ კავკასიურ პოლიტიკაზე, საქართველოში იკვეთება რუსეთის, თურქეთის და ამერიკის ინტერესები, როგორ ფიქრობთ ამ ინტერესების დაბალანსებას ხელისუფლებაში მოსვლის მერე?

**– მე არ მივიღებ ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს, რასაც მიჩვეულია საზოგადოება, გუნდში მეყოლებიან ექსპერტები, გუნდში არსებობენ კავკასიის დარგში ექსპერტები და ჩვენ ერთად უნდა მოვახერხოთ ჩვენი ადგილი ვნახოთ ამ სისტემაში.**

– რომელიც ქმნის ახალ პარტიას, რომელიც გვპირდება რომ უმრავლესობით მოვა ხელისუფლებაში, როგორ აღიქვამს რუსეთს, არის თუ არა ის ქვეყნის ოკუპანტი?

**– ამას აღიარებს საერთაშორისო თანამეგობრობა, რუსეთს ნამდვილად აქვს ოკუპირებული ჩემი ქვეყნის ტერიტორიის 20%. სწორედ ამ ტერმინს იყენებს თანამეგობრობა.**

– თქვენ აპირებთ უმრავლესობით მოსვლას პარლამენტში, ამის შემდეგ კანონმდებლობით სააკაშვილი ერთი წელი კიდევ რჩება პრეზიდენტად, როგორ აპირებთ თანამშრომლობას მასთან? და კიდევ ზურაბ ჟვანიას მეუღლემ პრესის ფურცლებზე დაგისვათ შეკითხვა, მისი მეუღლის ბუნდოვან გარდაცვალებასთან დაკავშირებით...

**– აუცილებლად შევხვდები ქალბატონ ნინოს.**

**რაც შეხება პირველ კითხვას, მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილმა კონსტიტუცია მშვენივრად მოირგო თავის თავზე, პარლამენტში მოსვლის მერე, თუ თავად ვერ მოახერხა განცხადების დაწერა, მყისიერად დავიწყებთ მისი იმპიჩმენტის საკითხის განხილვას.**

– რამდენად დამოუკიდებელია თვითმმართველობა საქართველოში და უნდა იყოს თუ არა გამგებელი არჩევითი გზით მოსული?

**– დღეს საქართველოში ერთი კაცი ახორციელებს მმართველობას და ერთი კაცის მსხვერპლია საქართველო. საშინელ ტერორშია არა მარტო საზოგადოება, არამედ მთელი მთავრობა. აუცილებლად უნდა გაძლიერდეს თვითმმართველობა ჩვენი მოსვლის შემდეგ.**

– თუ აპირებთ რაიმე საწარმოს ყიდვას საქართველოში ან თუ გაქვთ უკვე ნაყიდი?

**– კარგად მესმის, რისი კითხვაც გსურდათ. არ მაქვს ნაყიდი საწარმოები, არც ვაპირებ. თქვენ მხედველობაში გაქვთ ის, რომ ქველმოქმედება არ არის უკეთესი ფორმა დახმარების, ყველაზე კარგი ფორმაა შეიქმნას რაც შეიძლება ბევრი სამუშაო ადგილი, რათა ხალხმა თავად შეძლოს ოჯახის რჩენა. მე კრიტიკულად ვუდგები ჩემს თავს, რადგან ვერ მოვახერხე ბიზნესის ჩამოყალიბება საქართველოში. ჩემი პოლიტიკაში ყოფნის პერიოდში, მაქსიმალური ყურადღება მექნება მიპყრობილი, რომ რაც შეიძლება ბევრი სამუშაო ადგილი შეიქმნას და მაქსიმალურად ყველანი დავსაქმდეთ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გადიდდეს და გაძლიერდეს ჩვენი ქვეყანა.**

– საქართველოს მოსახლეობის უდიდესი პრობლემაა ადამიანის უფლებები. ხვალ კოტე კუბლაშვილი რომ გადადგეს ან გადმოვიდეს თქვენს რიგებში, ასეთი ტიპის ადამიანების მიმართ რა ზომების გატარებას აპირებთ?

**– არის უსამართლობის განცდა და საშინელი ტერორი. ამის თავი და თავი გახლავთ სააკაშვილი. მისი უახლოესი გუნდი მსხვერპლია თავიანთი არჩეული პოზიციის. ისინიც ისეთივე დღეში არიან, როგორც დანარჩენი საქართველო. ერთადერთი მოძალადე დღესდღეობით გახლავთ სააკაშვილი. ჩვენი გუნდის მოსვლის მერე, არ შევეცდებით ცალკეული პროცესების განხილვას. ჩვენ უნდა შევქმნათ ნამდვილი თავისუფალი სასამართლო.**

**ძალიან დიდი მადლობა და ძალიან დიდი ბოდიში, რომ ყველა შეკითხვას ვერ ვუპასუხე.**

◉ ჩემი შენ გითხარიო...

# „დაჩქარებული“ ანდაზა,

## ანუ როგორ შეიძლება გადაუკეთდეთ მავანთ ერთი ბრძნული ხალხური გამონათქვამი

**იმ ფრთიან ფრაზაზე, ხალხურ სიბრძნეზე მოგახსენებთ, პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოჰკვეთა კბილიო, რომ ამბობს. იგი ნაცმოძრაობელთა ნაქმნარ-ნამოქმედარმა, განსაკუთრებით კი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ბიძინა ივანიშვილის გამოჩენასთან დაკავშირებით მათ მიერ ჩადენილმა ბევრმა სისულელემ (ეს შეფასება მიშისტთა ერთ-ერთ აპოლოგეტს გია ნოდიას ეკუთვნის) გამახსენა.**

კიდევ ერთი ანდაზაა მათზე ზედგამოჭრილი — ჩემი შენ გითხარიო...

იმიტომ, რომ თავადაც გაჰყვირიან და თავიანთი ჯიბის ტელევიზიების ჟურნალისტებსაც აწივლებენ (გუშინწინდელი პრესკონფერენცია ამის კარგი ნიმუში იყო!ძ, ბიძინა ივანიშვილი, რომელმაც ფული რუსეთში იშოვა, რუსეთის აგენტი და პუტინის ბოლო იმედიაო.

ერთხელ დავწერე და ახლაც ვიმეორებ: თუ რუსეთში ნაშოვნ „ნაძრახ“ ფულზეა ლაპარაკი, კახა ბენდუქიძემ სად იშოვა იგი, იმ ბენდუქიძემ, ლამის ახლაც პირველ ვეზირად თუ არა, ფარულ მრჩევლად მაინც რომ უზის სააკაშვილს? და, რაც არანაკლებ საყურადღებოა, **ბენდუქიძემ ხომ უბრალოდ რუსეთში კი არ იშოვა თავისი მილიონები, არამედ იქაური სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ერთ-ერთ უმსხვილეს გაერთიანებაში თავკაცად მუშაობით?**

ესეც არ იყოს, ვესპასიანედან მოყოლებული, ყველა ამტკიცებდა და ამტკიცებს, ფულს სუნი არა აქვსო და, **რაღა მაინცდამაინც ბიძინა ივანიშვილის ფული „აქოთდა“, რომელი ფულიც მიწყივ ქართულ საქმეს და ქართველ ხალხს ხმარდებოდა?**

თანაც რაღა ახლა „აყროლდა“ იგი, როცა ბიძინა ივანიშვილი, ქართველთა დიდი უმეტესობის გულგასახარად და ნაცმოძრაობელთა გულის გასახეთქად, პოლიტიკაში ჩაერთო? **მანამდე კი, სანამ მისი ფულით ნაკეთებ ქართულ საქმეებს სააკაშვილი და მიშისტები თავიანთ ნაღვაწად ასაღებდნენ, ივანიშვილისეულ კუპიურებს, რაო, ფრანგული სუნამოს სურნელი ასდიოდა?**

მაგ სიმართლით გევლოთ და დაგლამაზებოდეთ ცხვირები გოკუნებო, აკუნებო და ძმანო და დანო თქვენნო!

მართლაც, ჩემი შენ გითხარიო...

**სხვანაირად როგორ გავიგოთ ნაცმოძრაობელთა პოზიცია, რუსეთი ჩვენი უპირველესი მტერიაო რომ ამტკიცებენ და, ლამის მთელი ჩვენი ეკონომიკა კი რუსეთულ კომპანიებს (თანაც იქაურ სახელმწიფო კომპანიებს) ჩაუგდეს ხელში?**

ჰოდა, ვინ უფრო მეტი „რუსეთუმე“ გამოდის, — ბიძინა ივანიშვილი, რომელიც, როგორც თავად ამბობს, ამ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში არამცთუ რუსეთში არ ყოფილა, ტელეფონითაც კი არ დაკავშირებია რომელსამე რუსეთელს (ეს რომ ხალასი სიმართლე არ იყოს და ნაცმოძრაობელებს საპირისპიროს დამამტკიცებელი ერთი სამხილი მაინც ჰქონდეთ, ხომ წარმოგიდგენიათ, რა ჭყივილ-ხივილით „ამხელდნენ“ ისინი „მოღალატე“ ივანიშვილს!ძ, თუ ნაცმოძრაობელთა ლიდერები, რომლებიც, ამერიკელებს რომ არ შეეშალათ ხელი, ამ ხუთიოდე წლის წინათ რუსებს მაგისტრალურ გაზსადენსა და რკინიგზასაც მიჰყიდდნენ?





პოლიტიკოსობას რომ ჩემულობენ (დიახ, ჩემულობენ, რადგან მათმა პოლიტიკოსობამ და „პოლიტიკამ“ ჩიხში თუ არა, „დეპოში“ მაინც უკვე რომ ამოგვაყოფინა თავი, ფაქტიაძ, არ გაუგიათ, რომ პოლიტიკა ეკონომიკის ზედნაშენია?

ანუ, უფრო გასაგებად რომ „მოვთარგმნოთ“, **რაგინდ თავისუფალ-დამოუკიდებელნიც არ უნდა ვიყოთ პოლიტიკურად, თუ სათანადო ეკონომიკური საძირკველი არ გვექნა, ჩენზე ეკონომიკურად უფრო ძლიერნი ხომ ერთობ იოლად დაგვაკაბალებენ?**

ამ აქსიომური ჭეშმარიტების გათვალისწინებით კი ლამის ყველა უმნიშვნელოვანესი სამრეწველო ობიექტის რუსეთისთვის მიყიდვა, რბილად თუ ვიტყვით, საქართველოს და ქართული საქმის მტრობა არ არის?

ეს გუშინწინდელი პრესკონფერენციის რამდენიმე მონაწილე მანდილოსან ჟურნალისტსაც მინდა ვკითხო, ცოცხალი თავით არაფრის დიდებით რომ არ თმობდნენ და ორივე ხელით ისე ჩაფრენოდნენ მიკროფონს, იფიქრებდი, სხვა რამე ჰგონიათო (უკვდავების ხის ტოტი, ცხადიაძ, და საოცარი მონდომებით ცდილობდნენ მაყურებლის თვალში ბიძინა ივანიშვილისგან საქართველოსა და ქართველი ხალხის მტრის ხატის შექმნას (რას არ გააკეთებინებს ზოგიერთს „შეფის“ შეკვეთის უთუო შესრულების მწვავე სურვილი თუ, მისი შეუსრულებლობის შემთხვევაში, მოსალოდნელი რისხვა-სასჯელის შიში!ძ.

რაღა ბევრი გავაგრძელო, იმ პრესკონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილის მიერ ნათქვამისა არ იყოს, ხალხი ყველას და ყველაფერს ხედავს და ამჩნევს.

და სწორედ ამის გათვალისწინებით, იმავე ხალხმა შეიძლება „დააჩქაროს“ ამ წერილის სათაურ-ქვესათაურში გამოყენებული ხალხური ანდაზის „მოქმედება“: ანუ **ბევრი ნაცმოძრაობელის მიერ ნაქმნარ-ნაავკაცარმა მათს შვილიშვილებს კი არა** (თუ ამჟამად არა ჰყავთ, ღმერთმა აჩუქოთ და უზედნიეროთ ბადიშები!ძ, **ბევრად ადრე, მათს შვილებს მოჰკვეთოს კბილი.**

**ხოლო მამათა ნამოქმედარით „კბილმოკვეთილმა“ შვილებმა რითი გადაუხადეს „სამაგიერო“ მშობელ „არავიძეებს“, ეს ერთი ცნობილი ფილმითაც კარგად ვიცით.**

**და ბოლოს: ამ შვიდი წლის წინათ საზოგადოებისთვის მაშინაც კარგად ცნობილმა პიროვნებამ და სპეციალისტმა ერთ „რეფორმატორ“ მინისტრს (სხვათა შორის, მისი „ნამოღვაწარი“ თვით მიხეილ სააკაშვილმა, ძალიან ბევრის გასაკვირად, რამდენჯერმე სახალხოდ გააქილიკა და აუგად მოიხსენია!) უთხრა, — ისე ნუ იზამ, რომ ქართულ მიწაში დასამარხი ადგილი ვერ იშოვოო.**

**ღმერთმა ნუ ქნას! ამისთვის არც ერთი ქართველი არ მემეტება!!**

**და რაც მთავარია, პოეტისა არ იყოს, ბოლოს და ბოლოს, ღმერთო, შეაყვარე ქართველს ქართველი!**

რუსლან რუსია

◉ ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### რა ემუქრება მალხაზ გულაშვილს

რატომ გადაწყვიტეს ძმებმა მალხაზ და დავით გულაშვილებმა საქართველოში დაბრუნება, რა პირობებში ცხოვრობდნენ რუსეთის ფედერაციაში, განხორციელდა თუ არა სამართალდამცველების მხრიდან მათზე რაიმე სახის ზეწოლა და რა სასჯელი შეეფარდათ მათ?..

**„ახალი თაობა“,**

### რუსეთში განათლება-მიღებულებს ჯარიდან მასობრივად ითხოვენ

თავდაცვის სამინისტროდან რუსული განათლების მქონე თანამშრომლები დაითხოვეს.

ორი თვეა შემცირებები მიმდინარეობს და ეს პროცესი ამჟამადაც გრძელდება. შემცირებები თავდაცვის სამინისტროს თითქმის ყველა სტრუქტურაში განხორციელდა.

**„რეზონანსი“,**

### ვინ და რატომ ედავება „ახალ კაპიტალს“ როსტომ მეფის სასახლეს

იმ პრობლემებზე, რომლებიც ბიძინა ივანიშვილსა და მის ბიზნესპარტნიორებს შეექმნათ, საუბრობენ ადვოკატები შალვა თადუმაძე და არჩილ კბილაშვილი.

**„ყველა სიახლე“,**

### სვანეთის სამ ისტორიულ სოფელს გასახლება ემუქრება

„ხუდონჰესის“ მშენებლობის გამო, სვანეთის რამდენიმე სოფლის მოსახლეობას გასახლებას უპირებენ. კაშხლის მშენებლობის შემდეგ, წყალდიდობის საფრთხის წინაშე ხაიში, ლუხუმი და ლახამი აღმოჩნდებიან.

**„ქართული სიტყვა“,**

### ზამთარში შეშის ყიდვა კრიმინალური დანაშაულია

აჭარის მოსახლეობას შეშის კრიზისი აქვს. ვინაიდან სატყეო სააგენტომ შეშის მომარაგებაზე ლიცენზიის გაცემა სექტემბრის ბოლოს დაიწყო, მოსახლეობამ გასათბობად შეშის მომარაგება ვერ მოახერხა, ყიდვა კი კრიმინალური დანაშაული ყოფილა...

**„საქართველო და მსოფლიო“**

### სენსაციური ინფორმაცია

როგორც კონფიდენციალურმა წყარომ გვაცნობა, ხელისუფლებაში, კერძოდ, მიხეილ სააკაშვილის ახლო გარემოცვაში, აქტიურად განიხილება საკითხი ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის დაბრუნების თაობაზე.

**„საერთო გაზეთი“**

◉ პასუხად ბრალდებაზე

## თინა ხიდაშელი კომენტარს არ აკეთებს

მეორე არხის „თავისუფალი ტრიბუნის“ ეთერში 2 ნოემბერს პარტია „სამართლიანი საქართველოს“ წარმომადგენლებმა განაცხადეს: რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერის თინა ხიდაშელის მოსაზრებით, ბიძინა ივანიშვილის პარტიის გამარჯვების შემთხვევაში, პოლიტიკაში დარჩებიან ისეთი ახალგაზრდა ნაციონალები, როგორებიც არიან გიგი უგულავა და გიგა ბოკერია, რომლებთანაც არ გამოვრიცხავ თანამშრომლობას მომავალშიო.

ამ განცხადებასთან დაკავშირებით ქალბატონ თინას მივმართეთ.

მან კატეგორიულად გვითხრა, რომ ის არავითარ კომენტარს არ გააკეთებს, რადგან არ იცნობს ასეთ პარტიას, და არასერიოზულად მიაჩნია უცხო პირთა ბრალდებებზე კომენტარის გაკეთება. ამასთან განაცხადა, არც უარვყოფ და არც ვადასტურებ, რომ ასეთი რამ ვთქვიო.

ლია გრიგოლია

◉ მხარდაჭერა

## ქიბარ ხალვაში ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერ მიმართვას ავრცელებს

გერმანიაში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში ბიძინა ივანიშვილისა და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესისადმი მხარდამჭერ მიმართვას ავრცელებს. მიმართვაში ხალვაში აღნიშნავს, რომ უკეთესი მომავლის იმედი და შანსი გაჩნდა.

**— ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებამ აღადგინა პოლიტიკური წონასწორობა და რეალური გახადა იმედი, რომ ქვეყანაში მოხდეს პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ძირეული გარდატეხა ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ. ვიმედოვნებ, მალე დადგება დრო, როდესაც ველარავინ წაგვართმევს თავისუფლებას, ველარავინ გამოგვკეტავს ციხეში ან გაგვაძევებს სახლიდან და საკუთარი სამშობლოდან იმიტომ, რომ გაგვაჩნია ჩვენი აზრი; როდესაც ჩვენვე განვსაზღვრავთ საკუთარ მომავალს და ვიცხოვრებთ ისე, როგორც ვიმსახურებთ. თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი, ჩვენ ერთად უნდა ავიხდინოთ „ქართული ოცნება“. მხარი დავუჭიროთ პროცესებს და არ ვიყოთ მაყურებლის როლში. შიში და პასიურობა სააკაშვილის და იმ ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს... ვფიქრობ ახლაა დრო, ყველამ ერთად ვუთხრათ უარი ტოტალურ სიყალბეს — ვითომ მოგებულ ომს, ქაღალდზე პირველობას, ქვიშის სასახლეებს და შუშის ეკონომიკას,** — ნათქვამია მიმართვაში.

ქიბარ ხალვაში განსაკუთრებით მიმართავს საქმიან ადამიანებს და მათსწორი მოქალაქეობრივი პოზიციის დაკავებას სთხოვს.

**— ბიძინა ივანიშვილს, ქველმოქმედ ადამიანს წაართვეს უფლება, იყოს იმ ქვეყნის მოქალაქე, რომლისთვისაც უამრავი სიკეთე გაუკეთებია. მე, როგორც ბიზნესში გათვითცნობიერებული ადამიანი, ვაცხადებ, რომ ის ყველაზე წარმატებული ქართველი ბიზნესმენია. ბიზნესში ასეთი წარმატების მიღწევა კი გონიერების, პროფესიონალიზმისა და სანდოობის გარეშე შეუძლებელია, რაც ასე ჭირს დღევანდელ ხელისუფლებაში,** — აცხადებს ქიბარ ხალვაში.

მიმართვის დასასრულს ხალვაში კიდევ ერთხელ გამოხატავს მხარდაჭერას ბიძინა ივანიშვილისადმი და გამოთქვამს მზადყოფნას, შეძლებისდაგვარად თავადაც შეიტანოს წვლილი საერთო საქმეში.

ინტერპრესი

შთაბეჭდილება

# ჯერ თვითლუსტრაცია და შემდეგ — ჰარაკირი,

## ანუ „აგია პიკასოს ბიჭი? ამისი იმედი აქვს პიკასოს?“

**„ლუსტრაცია სინათლესთან არის დაკავშირებული და ერთგვარი განწმენდის რიტუალს უკავშირდება, რომელსაც ამა თუ იმ ქვეყანაში სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფები ახორციელებენ.**

**ლუსტრაცია ბრძოლის წინ ან ბრძოლის შემდეგ ხორციელდება ხოლმე. პოლიტიკური მნიშვნელობით ლუსტრაცია რომში, იმპერატორ ტრაიანეს ეპოქაში იღებს სათავეს“.**

**„იაპონიაში რიტუალურ თვითმკვლელობას — მუცლის გაფატვრას, ჰარაკირი ეწოდება.**

**ჰარაკირი სამურაების პრივილეგიაში შედიოდა. ამ რიტუალის აღსრულებისას ისინი სულის სიძლიერესა და სიკვდილისადმი სიძულვის უსვამდნენ ხაზს. მუცლის გაფატვრით გამოწვეული ტკივილი მეტად მძიმე ასატანია, ის უდიდეს სიმამაცეს, ნებისყოფასა და გამძლეობას მოითხოვს. ამიტომაც, სამურაის თვალში ბრძოლის ველზე დაცემა და ჰარაკირით სიკვდილი ერთნაირი გმირობა იყო, ამ წესს მიმართავდნენ ისინი ტყვედ ჩავარდნის დროს საკუთარი პატივისა და ღირსების გადასარჩენად“.**

ალბათ მიხვდით, რომ ეს წერილი იმ მასობრივ, რიტუალურ თვითლუსტრაციას და ჰარაკირს „მივუძღვენი“, რომელიც სახელისუფლებო მედიის წარმომადგენლებმა პირველ ნოემბერს, ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენციაზე განახორციელეს.

პრინციპში წერა აქაც შემეძლო დამემთავრებინა, მაგრამ მინდა გავფანტო ის უარყოფითი აზრი, რომელიც საზოგადოებაში ამ პრესკონფერენციის შემდეგ ჟურნალისტების მიმართ გაჩნდა.

ერთმა ჩემმა მეგობარმა და კოლეგამ, პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგ დანანებით თქვა, ამათ შემხედვარეს, მრცხვენია, რომ ჟურნალისტი ვარო.

არ ვეთანხმები არც მას და არც იმათ, ვინც იმ ქარაქუცებს, რომლებიც პრესკონფერენციაზე ინფორმაციის მისაღებად კი არა, დემარშის მოსაწყობად იყვნენ მისულები, ჟურნალისტებს უწოდებს.

არ ვეთანხმები, იმიტომ, რომ ისინი ჟურნალისტები კი არა, თავიანთ თავზე შეყვარებული, გაუნათლებელი და მომავალდაკარგული სახელმწიფო მოხელეები არიან. თანაც ისეთი მოხელეები, რომლებიც ვერც ერთ სამსახურში ვერ გამოდგებოდნენ და მათმა კეთილისმყოფელებმა ერთი შეხედვით ყველაზე მარტივი „საქმე“, ანუ ტელკამერების წინ კეკლუცი, ჭკვიანი და საქმიანი სახით აქეთ-იქეთ ბოდიალი და საქართველოს მოსახლეობისთვის ნერვების მოშლა დაავალეს.

არ არიან, ბატონო, ისინი ჟურნალისტები და რა ვქნა?

არ არიან, თუნდაც იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ ელემენტარული განათლება არ გააჩნიათ.

აბა როგორ უნდა უწოდო ჟურნალისტი იმ ადამიანს, რომელსაც ექვსი ასოსგან შემდგარი გვარის (ლ ე ბ ე დ ი) მიტანა არ შეუძლია კოსტავას ქ.№68-დან, ყოფილი „კომკავშირის ხეივნამდე“. არადა ვინ იცის, რამდენჯერ გაამეორებინეს პრესკონფერენციაზე წამოსვლის წინ (წარმომიდგენია თუ როგორი ნიშნები ეყოლებოდა სკოლაში).

არ არიან ჟურნალისტები იმ მიზეზის გამო, რომ არ იციან, თუ რა არის ჟურნალისტის ფუნქცია.

აბა როგორ უნდა უწოდო ჟურნალისტი იმას, რომელსაც პრესკონფერენციიდან კი არ მიაქვს ინფორმაცია თავის მკითხველამდე, თუ მაყურებლამდე, არამედ პირიქით — პრესკონფერენციაზე მიაქვს თავისი „უფროსობის“ დანაბარები და იქ იმ უაზრო „მესიჯს“, რომელმაც მისი და მისნაირი პიარტექნოლოგების აზრით, საერთოდ უნდა გაანადგუროს ივანიშვილის იმიჯი, აშარი დედაკაცის გაწიწმატებით ახმიანებს.

როგორ უნდა უწოდო ჟურნალისტი იმას, ვინც საქმიანი შეკითხვების ნაცვლად პინგვინებზე და ბელურებზე ამახვილებს ყურადღებას და შეკითხვის ბოლოს აქცენტს იმაზე აკეთებს, რომ რადგანაც რესპონდენტს ბელურები არ უყვარს, ე.ი. ის კრემლის აგენტია (კიდევ კარგი გაუნათლებელი რომ არის, თორემ მაგას გასული საუკუნის 60-იან წლებში ჩინელების მიერ ბელურების მასობრივი გაჟლეტის ამბავი რომ სცოდნოდა, შეიძლება ივანიშვილისთვის მაო ძე დუნის მხარდამჭერობა დაებრალებინაძ.

კიდევ უამრავი რამის დაწერა შეიძლება.

შემეძლო დეტალურად განმეხილა ის პრესკონფერენცია და სხვადასხვა კომპეტენტური ადამიანების კომენტარებიც წარმომედგინა თქვენთვის, მაგრამ ამას არ გავაკეთებ.

არ გავაკეთებ იმიტომ, რომ ჯერ ერთი ყველამ ნახა პირდაპირი ეთერით გადმოცემული რეპორტაჟი.

თავად ნახა ყველა ის პლიუსი და მინუსი, რაც ამ პრესკონფერენციას ჰქონდა.

ყველამ იცოდა, რომ სახელისუფლებო მედიის წარმომადგენლები შეეცდებოდნენ გარკვეული აჟიოტაჟის ატეხას (მე სპეციალურად არ ვწერ სიტყვას „პროვოკაცია“, რადგანაც იმ „რესურსით“, რა რესურსითაც ხელისუფლება იყო წარმოდგენილი, უმარტივესი პროვოკაციის მოწყობაც კი შეუძლებელიაძ.

ჰოდა ყოველივე ამის შემდეგ, „აგია პიკასოს ბიჭი? ამით ერთობა პიკასო?“, გამახსენდა და ფართო მიმოხილვა გადავიფიქრე.

სამაგიეროდ, მინდა შემოგთავაზოთ რამდენიმე ამონარიდი ამ პრესკონფერენციისადმი სოციალურ ქსელ „ფეისბუკში“ მიძღვნილი ფრაზებიდან.

მანამდე კი გეტყვით, რომ პრესკონფერენციის დამთავრების შემდეგ, ფეისბუკზე შეიქმნა ჯგუფი „უსაფრთხო პროტესტი Safe Protest! Безопасный protesti“, რომელზეც ყველა მსურველი თავის მოსაზრებას ათავსებდა.

**— „შენ იწყებ პინგვინზე შეკითხვით, ლებედზე შეკითხვას შუაში რომ არის, ის დასვამს. შენ კი პატარავ, უბრალოდ იხმაურე“ (31 ოქტომბერს, ერთ-ერთი სახელისუფლებო ტელეკომპანიის ბუნკერში ჟურნალისტებთან ჩატარებულ თათბირზე გადაღებული ფოტო).**

**„ვაი შვილო... რა უწამებიათ ჟურნალისტები... ეს რა გადაუტანიათ.. ან ამას რა ენა აღწერს...**

**ხურდები ცალკე ჩაყარესო — ეს რა მესმის... ამის მერე შეგვიშვესო“...**

**„ახლა პირველ არხს ვუსმენ, პირველი სტუმარი ალასანია იყო, მეორე —კაჭკაჭიშვილი, პაიჭაძეს ამ ორთან კოვზი ნაცარში ჩაუვარდა, ახლა ნუგზარ წიკლაური ჰყავს ეთერში და თუ წიკლაურმა არ გამოუსწორა მდგომარეობა პაიჭაძეს, მისი ადგილი პირველ არხზე სულ მალე ვაკანტურად გამოცხადდება:)“.**

**„მოკლედ, რაც გაირკვა, ტრიპოლსკის ამბები ყველაფერი მოგონილი იყო და მაგარი დაუნობა და ცილისწამება მოუვიდათ პირდაპირ ეთერში — ყველაზე მაგრა „რუსთავი-2“ გაბანძდა:)))“.**

**„2000-2001 წლებში ბატონმა ბიძინამ საჩხერის ეპარქიას გამოუყო გარკვეული დაფინანსება, რამაც საშუალება მოგვცა, ეპარქიაში გაგვეხსნა სასულიერო სემინარია, სადაც 29 სტუდენტი სწავლობდა. მათგან 23 დღეს უკვე სასულიერო პირია, უმრავლესობა ტაძრებისა და მონასტრების წინამძღვრები არიან. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, როცა ოკულტიზმსა და შავ მაგიას აბრალებენ ადამიანს, რომელმაც ასეთ საღმრთო საქმეს ჩაუყარა საფუძველი. ეს არის ავისმდომთა უდიდესი ცოდვა და სირცხვილი.“**

**„რუსთავი-2“-ის ჟურნალისტმა ბრძოლით მოიპოვა მიკროფონიო. წყარო — „ყველაზე ობიექტური“ საინფორმაციო გამოშვება „კურიერი“.**

**ძალიან ბევრი ვიცინე :):):).**

**ხომ არ გადაგვეცა ამ ჟურნალისტისთვის ჩვენი პრეზიდენტის რომელიმე ორდენი?**

**ან მარტო გაგვეშვა ეს ჟურნალისტი ცხინვალის რეგიონში და აფხაზეთში“.**

**„დაცვას არანაირი უხერხული მომენტი არ შეუქმნია, იყვნენ ძალიან ყურადღებიანები და ზრდილობიანები. პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ ჟურნალისტები საუბრობდნენ, რომ არავის მათთვის კითხვები არ შეუმოწმებია (საეჭვოა პირველი არხის მიერ ატეხილი პანიკა). შესვლისას ვხედავდი, რომ რეალ ტივის ჟურნალისტი დაცვასთან მიდიოდა და მის პროვოცირებას ცდილობდა, ეკითხებოდა პასუხისმგებელი თქვენ ხართ იმაზე მე რომ ვერ შემოვდივარო (შეგახსენებთ ეს ის ჟურნალისტია, „მკითხავებზე გადაცემაში“ რომ განაცხადა ჩვენი ტელევიზიიდან აკრედიტაცია მხოლოდ ერთმა აიღოო, ის ერთი კი უკვე ბიზნესცენტრში იყო შესული).“**

„მაინტერესებს რის მიხედვით ირჩევენ ნაცები ჟურნალისტებს - პროფესიონალიზმის და გამოცდილების მიხედვით, თუ აგრესიული სექსუალური აღზნებადობის მიხედვით?“

„BBC-ს და CNN-ს დაუხოციათ ერთმანეთი... ლიკა ბერაიას და ნინო გომართელს ვერ იყოფენ“.

ბევრს აღარ გავაგრძელებ და ვიტყვი, რომ უამრავი აზრი გამოითქვა ფეისბუკზე. იყო ქებაც, ძაგებაც. იყო შენიშვნები, კომენტარები, სურვილები. ერთ-ერთი მომხმარებლის სიტყვებით რომ ვთქვა, „გადაბიძინდა კედლები“.

წერილის ბოლოს კი გავიხსენებ ფრაზას, რომელსაც ფილმ „არაჩვეულებრივ გამოფენაში“ დოდო აბაშიძის გმირი შავლეგი ეუბნება გურამ ლორთქიფანიძის გმირ აგული ერისთავს და მისი ოდნავ შეცვლილი ფორმით მივმართავ სახელისუფლებო მედიის მფლობელებს:

— ეგენი არიან მიშიკოს ჟურნალისტები? ამათი იმედი აქვს მიშიკოს?

**გია გაბრიჭიძე**



*— „შენ იწყებ პინგვინზე შეკითხვით, ლებედზე შეკითხვას შუაში რომ არის, ის დასვამს. შენ კი პატარავ, უბრალოდ იხმაურე“ (31 ოქტომბერს, ერთ-ერთი სახელისუფლებო ტელეკომპანიის ბუნკერში ჟურნალისტებთან ჩატარებულ თათბირზე გადაღებული ფოტო).*

*P. S. სწორედ იმ დროს, როცა მთელი საქართველოს ყურადღება 2011 წელს, საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ გაშვებული ყველაზე მაღალრეიტინგული გადაცემისკენ იყო მიმართული, ხელისუფლება სასტუმრო „რედისონში“, მორიგ უაზრო პიარკამპანიას ატარებდა. ნიკა გილაურმა მთავრობის 10-პუნქტიანი გეგმა, რომელშიც მომავალი ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიმართულებები და დასაქმების პრობლების გადაწყვეტის ერთიანი სტრატეგიაა გადმოცემული, ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებს გააცნო და განაცხადა, რომ მთავრობა ელოდება საქმიან წინადადებებს, ბიზნესმენების მიერ გამოთქმული შენიშვნები 10-პუნქტიან გეგმაში იქნება გათვალისწინებული.*

*ნამდვილად ვერ გეტყვით, ამ „გეგმის“ განხილვა მართლა სერიოზულად იფიქრეს, თუ მოსახლეობის ყურადღების გადატანა უნდოდათ, მაგრამ ორივე შემთხვევაში ისევ იმ სიტყვების გამეორება მომიწევს, რომლითაც წერილი დავამთავრე (ოღონდ ახლა სხვა ინტერპრეტაციით).*

*— ეგენი არიან მიშიკოს ბიზნეს-გეგმების შემდგენლები? ამათი იმედი აქვს მიშიკოს?*

*გ. გ.*

ჭორ-მართალი

## აფინანსებს თუ არა რუსთაველის თეატრს ბიძინა ივანიშვილი?

**საქართველოში ბოლო ხანს განვითარებულ მოვლენებს, ცხადია, თან სდევს ჭორ-მართალი, რომელიც ყოველდღიურად გვესმის. აი, მაგალითად, ასეთი: რუსთაველის თეატრს, თითქოს, უარი ეთქვას ბიძინა ივანიშვილის დაფინანსებაზე.**

**რა გასაკვირია, რომ დავინტერესდით და თეატრის მმართველს ბატონ ზაალ ჩიქობავას ვესაუბრეთ.**

**— ადრე რა იყო არ ვიცი, მაგრამ, რაც მე თეატრის მმართველი ვარ, ბიძინა ივანიშვილის ფონდიდან არ დავფინანსებულვართ და არც არანაირი ანგარიში არ გვქონია „ქართუ ბანკში“.**

**რაც შეეხება ფონდის მიერ ცალკეულ მსახიობთა დახმარებას, ეს არის პირადი ხელშეკრულებები და თუ რომელიმე მსახიობმა უარი თქვა ამ დახმარებაზე, ჩემთვის უცნობია... — გვეუბნება ზაალ ჩიქობავა.**

შთაბეჭდილება

## პრესკონფერენციაზე განვითარებულმა მოვლენებმა წყალი ივანიშვილის წისქვილზე დაასხა

**ბიძინა ივანიშვილის მრჩეველ, პოლიტოლოგ ვაჟა ბერიძის შეფასებით, ივანიშვილის ბიზნეს-ცენტრში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტთა ის ნაწილი, რომლებიც ანგაჟირებულ მედიასაშაულებებს წარმოადგენდა, ექსცენტრიული გამოხტომებითა და დებოშის ელემენტებით საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებას ცდილობდა.**

**როგორც პოლიტოლოგმა „მედიანიუსს“ განუცხადა, ხელისუფლებამ ივანიშვილის პრესკონფერენციაზე ჩატარებული „სპეცოპერაციით“ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მილიარდერის წინააღმდეგ რეალური კომპრომატი არ გააჩნიათ.**

**„ჟურნალისტთა ერთი ნაწილი ექსცენტრიული გამოხტომებით ბიძინა ივანიშვილის წონასწორობიდან გამოყვანას ცდილობდა. მათი მიზანი იყო, რომ ამ იაფფასიანი დებოშის ელემენტებით საზოგადოებაში ივანიშვილზე შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ ამ პიროვნებას საფუძვლიანი და შორსმიმავალი მიზნები არ შეიძლება ჰქონდეს. რა თქმა უნდა, ეს სტილი, რომელიც აქამდე ხელისუფლებას უმართლებდა, როდესაც იგი ყველა ოპონენტს სთავაზობდა ბრძოლას წესების გარეშე, უკვე ახალ სიტუაციაში არ გაამართლებს. არ გაამართლებს არა იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილია ამის წინააღმდეგი, არამედ იმიტომ, რომ თამაშის ასეთი წესები ქართულ საზოგადოებასაც არ მოსწონს“, — განაცხადა ბერიძემ და დასძინა, რომ ჟურნალისტთა უდიდესი ნაწილი ივანიშვილისგან მაქსიმალური ინფორმაციის მიღების სურვილით იყო განწყობილი,**

**„ჟურნალისტთა უმეტესობას აინტერესებდა, რამდენად საფუძვლიანია ბიძინა ივანიშვილის და მისი გუნდის პრეტენზიები საპარლამენტო არჩევნებთან მიმართებაში, ხოლო ჟურნალისტთა მცირე ნაწილი, რომელიც ანგაჟირებულ მედიასაშუალებებს წარმოადგენდნენ, აშკარად ჩანდა, რომ ხელისუფლების დავალებებს ასრულებდნენ და ყურადღების სხვა საკითხებზე გადატანას ცდილობდნენ“, — განაცხადა პოლიტოლოგმა, რომელიც ზემოხსენებულ პრესკონფერენციას თვითონაც ესწრებოდა და დასძინა, რომ დღეს ხელისუფლება ივანიშვილთან დამარცხდა.**

მედიანიუსი

შთაბეჭდილება

# ივანიშვილი-ჟურნალისტების რაუნდი ერთმნიშვნელოვნად ივანიშვილის სასარგებლოდ დასრულდა

საზოგადოებრივ მაუწყებელზე ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის სატელევიზიო დებიუტის შთაბეჭდილებებზე **„ინტერპრესნიუსი“** ფსიქოლოგ **მარინა ჩიტაშვილს** ესაუბრა.



**— ქალბატონო მარინა, მას შემდეგ, რაც ბიზნესმენმა ივანიშვილმა ქართულ პოლიტიკაში ჩართვის სურვილი გამოთქვა, საზოგადოებას ივანიშვილის მიერ პრესისთვის მიცემულ ინტერვიუებში მისსავე შეხედულებებსა და გეგმებზე წარმოდგენა კი ჰქონდა, მაგრამ, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ქართულ სატელევიზიო სივრცეში მის პირველ გამოჩენას სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ პრესკონფერენციაზე ივანიშვილს ახალი პრაქტიკულად არაფერი უთქვამს, თქვენ როგორ შეაფასებდით ბიზნესმენ ივანიშვილის სატელევიზიო დებიუტს?**

— ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ პირველ არხზე შედგა ივანიშვილის პრესკონფერენცია. მანამდე ჩვენ გვქონდა საშუალება, ივანიშვილის „როიტერთან“ ინტერვიუ გვენახა, მაგრამ ის მაინც ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა. რაც შეეხება პირველ არხზე საათნახევარზე მეტი ხნის ინტერვიუს, ეს იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ივანიშვილზე პირველი „სრულმეტრაჟიანი“ გადაცემა. თავისთავად მისი განცხადებები რაიმე სიახლით და რაიმე განსაკუთრებულობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მაინც ვითყოდი, რომ პრესკონფერენციაზე ბევრად უფრო ზომიერი და ადეკვატური აღმოჩნდა, ვიდრე პირველ წერილობით განცხადებასა და ორ ინტერვიუში იყო.

ჩემი აზრით, მისი მხრიდან გადადგმული ნაბიჯი პრესკონფერენციის ჩატარებასთან დაკავშირებით აბსოლუტურად სწორი იყო. მასში ძალიან ბევრ ჟურნალისტს ჰქონდა მონაწილეობის მიღების საშუალება. ძალიან სწორი ქნა ივანიშვილმა, რომ არ დათანხმდა პირველი არხის რომელიმე თოქ-შოუზე მისვლას. სავარაუდოდ, თოქ-შოუს ფორმატში საუბარი მხოლოდ ერთი მიმართულებით წარიმართებოდა. მრავალფეროვნება ძალიან კარგად აჩვენებს როგორც ჟურნალისტების, ისე იმის მომზადების დონეს, ვინც პრესკონფერენციას მართავს. კარგია, როცა საზოგადოებას აქვს საშუალება, ბევრი რამ იცოდეს იმ ადამიანზე, ვინც საჯარო პოლიტიკაში აპირებს მოსვლას.

მივიჩნევ, რომ ივანიშვილმა იმ კომპეტენტური და თავის თავში დარწმუნებული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა, რომელმაც იცის, რასაც აკეთებს. აშკარაა, რომ არის ზომიერი, ბევრს ფიქრობს და არ ეშინია თქმა იმისა, რომ — „იცით, ეს მე არ ვიცი“ ან „ამ საკითხზე მაქვს ჩემი შეხედულება და მე ამას გადავამოწმებ“. ჩვენ არ მოგვისმენია რიტორიკა, რომ „მე ყველაფერი ვიცი“ და „მე ყველა საკითხზე მაქვს გამზადებული რეცეპტი და მე ამას გავაკეთებ“. ჩემი აზრით, ივანიშვილის პრესკონფერენციაზე ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს იყო.

**— თქვენი აზრით, რა იყო ის მთავარი გზავნილი, რომლის თქმა ამ პრესკონფერენციაზე ივანიშვილმა საზოგადოებისთვის შეძლო?**

— ჩემი აზრით, ივანიშვილის მთავარი გზავნილი იყო ის, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა კანონის დაცვით მოვიდეს პოლიტიკაში. მან ისაუბრა თავის პოლიტიკურ შეხედულებებზე და თქვა, რომ პოლიტიკაში მოსვლას აპირებს მხოლოდ კანონის ფარგლებში, რაც ნიშნავს — მას დაუბრუნდება საქართველოს მოქალაქეობა, რაზეც ზრუნავს და ცდილობს, რომ დაიბრუნოს მოქალაქეობა. მან ისიც თქვა, რომ თუ ასეთი რამ არ მოხდა, ალტერნატიული გზა მოიძებნება. მან ასევე თქვა, რომ არ ცნობს მანიფესტაციების გზას და მისთვის მხოლოდ არჩევნებია ხელისუფლებაში მოსვლის ლეგიტიმური გზა. ძალიან მნიშვნელოვანია განცხადება იმის თაობაზე, რომ მისთვის არსებობს მხოლოდ თანამშრომლობის სტარატეგია, რომ რაც არ უნდა ძნელი იყოს, თანამშრომლობას აპირებს ყველასთან. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ არ ცვლის საგარეო პოლიტიკის კურსს, რომ საქართველოსთვის სტრატეგიულ პარტნიორებად დარჩებიან ამერიკა, დასავლეთი, ასევე ძალიან მნიშვნელოვანი იყო მის მიერ გამოთქმული მოსაზრება კონფლიქტებთან დაკავშირებით. მისი შეფასებით, კონფლიქტების მოგვარება უკავშირდება რუსეთისა და საქართველოს ინტერესების თანხვედრას. ამისთვის ის მზად არის, დაიწყოს დიალოგი მეზობლებთან. ასევე მან თქვა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია თავისუფალი მედია, სასამართლო და თავისუფალი პირობები შეექმნას ბიზნესის განვითარებას. მან ასევე თქვა, რომ მისთვის მთავარია, შექნას ეკონომიკური განვითარების საფუძვლები და მოანდომოს დაკარგულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ადამიანებს საქართველოში დაბრუნება და ცხოვრება. ჩემი აზრით, ეს იყო ის მთავარი გზავნილები, რომელიც მან პრესკონფერენციაზე გაახმოვანა.

**— თვალში საცემი იყო პრესკონფერენციაზე ჟურნალისტთა, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარი და არაეთიკური ქცევა. ფაქტია, პრესკონფერენციის შეთავაზებული ფორმატი სრულყოფილი და გამართული სულაც არ იყო, რასაც ჟურნალისტების მხრიდან მიკროფონისთვის ბრძოლაც კი მოჰყვა, მაგრამ, თქვენი აზრით, რამდენად შეძლო ჟურნალისტების ნაწილმა ბიზნესმენის წყობრიდან გამოყვანა და ე.წ. წინასწარ მომზადებული კითხვებით „ჩიხში მოქცევა“?**

— ჩემთვის გაუგებარი იყო განცხადებები იმის შესახებ, რომ პრესკონფერენციის დაწყებამდე დაცვამ ჟურნალისტებს ნივთები შეუმოწმა. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ამ ჟურნალისტებს არ ახსოვთ, რომ ყველა ოფიციალურ შეხვედრებზე მსგავს შემოწმებას გადიან. ნამდვილად ვერ გეტყვით, ჟურნალისტებს უზის წიგნაკს უსინჯავდნენ თუ არა, მაგრამ მათ ისიც უნდა ახსოვდეთ, რომ მიდიოდნენ კერძო პირის ბიზნეს-ცენტრში და, შესაბამისად, კერძო პირის დაცვას მათი შემოწმების სრული უფლება ჰქონდა. აეროპორტში ჩვენ ძალიან ხშირად გვიწევს ამგვარი კონტროლის გავლა, მაგრამ რაღაც არ მახსენდება, აეროპორტში კონტროლის გავლაზე უარი ვინმეს ეთქვა. ასე რომ, შემოწმებასთან დაკავშირებით არა მგონია, რაიმე სასკანდალო მომხდარიყო. მე არ ვდავობ იმაზე, რომ კარგი იქნებოდა, ჩვენ შემოწმება საერთოდ არ გვჭირდებოდეს. შემიძლია, გითხრათ, რომ ნორვეგიაში ისე შებრძანდებით პრეზიდენტის სასახლეში, რომ ასეთი პროცედურის ჩატარება არავის თავში არ მოუვა.

ახლა რაც შეეხება თავად ჟურნალისტების ქცევას. საერთოდ არ მესმის, რატომ იყო თავად ჟურნალისტებისთვის აქტუალური კითხვის დასმის შემდეგ მიკროფონის ხელში დაჭერა. ჟურნალისტს უნდა ჰქონდეს უნარი, დასვას კითხვა ისე, რომ არ მოჰყვეს ზღაპარი კითხვის დასმის წინ. ჩემი აზრით, ივანიშვილის პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებმა არაადეკვატური ქცევა გამოამჟღავნეს. ჩემი აზრით, მათი არაადეკვატურობის მიზეზი მათივე არაპროფესიონალიზმს უკავშირდება. ფაქტია, რომ ჟურნალისტებს აკლიათ მომზადება საიმისოდ, რომ თუ მათ მაინცდამაინც უნდათ რესპონდენტის უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენება, ეს პროფესიონალურად შეუძლიათ გააკეთონ. რაც შეეხება ივანიშვილის პასუხებს, ჩემი აზრით, ივანიშვილი-ჟურნალისტების რაუნდი ერთმნიშვნელოვნად ივანიშვილის სასარგებლოდ დასრულდა.

**— გამოითქვა აზრი, რომ ხელისუფლებამ სახელისუფლო ტელევიზიების ჟურნალისტების საშუალებით შეძლო პრესკონფერენციაზე ისეთი ვითარების შექმნა, რომ ყურადღება გამახვილებულიყო არა ივანიშვილის მნიშვნელოვან თემებზე გაკეთებულ განცხადებებზე, არამედ სწორედ აურზაურზე და მაუწყებელმა სწორედ ამიტომ არ გათიშა პრესკონფერენცია დაგეგმილი 40 წუთის შემდეგ. თქვენც ასეთი შთაბეჭდილება შეგექმნათ?**

— პირადად მე, პრესკონფერენციას ერთ საათში დავასრულებდი. ეს უკვე არა ჟურნალისტების, არამედ პრესკონფერენციის ორგანიზატორების საქმეა. ქართველებმა უნდა ვისწავლოთ დროის ლიმიტის დაცვა, რომელიც ჩვენ არ ვიცით და რაც არ არის კარგი ტონი არანაირი თვალსაზრისით. რაც შეეხება იმას, რომ ჟურნალისტები ცდილობდნენ, ხელში ჩაეგდოთ მიკროფონი და შემდეგ უსასრულოდ გაეგრძელებინათ კითხვები, ვთვლი, რომ ეს ნამდვილად არ არის ჟურნალისტების მაღალი პროფესიონალიზმის მაჩვენებელი.

ჟურნალისტმა უნდა დასვას ერთი კითხვა და შემდეგ მიკროფონი გადასცეს კოლეგას. თუ ჟურნალისტს პრესკონფერენციიდან რეპორტაჟის გაკეთება უნდა, ამის კარგი მაგალითია ფილმი, რომელიც მე ძალიან მომწონს და მიყვარს — „რომაული არდადეგები“. შემიძლია, კიდევ სხვა ფილმების მაგალითები მოვიყვანო. თუ ჩვენ კლასიკას გადავხედავთ, ძალიან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ. თუ კლასიკის გათვალისწინება არ გვინდა, მაშინ დასავლეთში რეალურ ბრიფინგებს მაინც მივაქციოთ ყურადღება. ერთი ეს მითხარით, რომელი ჟურნალისტი კადრულობს რამდენიმე კითხვის დასმას ერთ პრესკონფერენციაზე?

**— ივანიშვილთან დაკავშირებით ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად ამბობენ, რომ ივანიშვილი „კრემლის პროექტია“. პრესკონფერენციის მოსმენის შემდეგ თქვენ თუ დაგრჩათ ასეთი შთაბეჭდილება?**

— არა, არა, ნამდვილად არ დამრჩენია. ივანიშვილის ზომიერება არის პირველი ნიშანი იმისა, რომ იგი კრემლის პროექტი ნამდვილად არ არის.

**— რაღა დაგიმალოთ და, ივანიშვილის პრესკონფერენციის შემდეგ გამახსენდა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილს თავისუფალ ფორმატში პრესკონფერენცია საკმაოდ დიდი ხანია, არ ჩაუტარებია; ეს მიუხედავად იმისა, რომ ტელეეკრანზე გამოჩენა ძალიან უყვარს. ხელისუფლებას დიდი ხანია, დაავიწყდა, რომ ხელისუფლებას სხვა ვალდებულებებთან ერთად, თმენის ვალდებულებაც აქვს. ივანიშვილის პრესკონფერენციის შემდეგ ხომ არ უნდა ველოდოთ, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმაც დაიწყოს თავისუფალ რეჟიმში პრესკონფერენციების ჩატარება?..**

— თუ არ ვცდები, 2007 წლის ბოლოს, ახალი წლის წინ, პრეზიდენტს ჰქონდა პრესკონფერენცია, რომელზეც მიწვეული იყვნენ მედიის წარმომადგენლები და მათ ჰქონდათ კითხვების დასმის შესაძლებლობა. ამგვარ პრესკონფერენციებზე ვერ ხვდებოდნენ იმ პრესის წარმომადგენლები, რომელთა ხელისუფლებისადმი ლოიალობაში ხელისუფლება დარწმუნებული არ არის. სულ უფრო მცირდებოდა ამგვარ პრესკონფერენციებზე ჟურნალისტთა რაოდენობა და მასზე სელექციაჩატარებული პრესის წარმომადგენლები ხვდებოდნენ. ასეთი ფუნქციის შესრულების ბედნიერება ხშირად ტელევიზიის წამყვანებს თუ უწევდათ.

თუ ივანიშვილის პრესკონფერენციის შემდეგ სააკაშვილი თავისუფალი პრესკონფერენციების ჩატარებას დაიწყებს, პიროზბას გაძლევთ, იქ მხოლოდ ხელისუფლებასთან დაახლოებულ ჟურნალისტთა კატეგორია მოხვდება. იქ ვერ მოხვდებიან ის ჟურნალისტები, რომელთა ნახვა პრეზიდენტს არ უნდა.

**კობა ბენდელიანი**

რეაქცია

## 3 ნოემბერს, ფილარმონიაში დაგეგმილი ყრილობა ბიძინა ივანიშვილს არ უკავშირდება

**ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო უარყოფს ინფორმაციას, რომ 3 ნოემბერს ფილარმონიაში დაგეგმილია ყრილობა. როგორც პრესსამდივნოს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული, ყველანაირი ორგანიზაციის შექმნის შესახებ განცხადებას ბიძინა ივანიშვილის პრესსამდივნო თავად გააკეთებს.**

## შოთა მალაშხია ბიძინა ივანიშვილს საქართველოს მტერს უწოდებს

**მისი თქმით, მართალია, ივანიშვილი ამბობს, რომ არ მტრობს საქართველოს, მაგრამ როდესაც ამბობს, რუსეთთან ომი საქართველომ დაიწყოო, ეს სწორედ ქვეყნის მტრობას ნიშნავს.**

**მალაშხიას განცხადებით, მხოლოდ საბჭოთა მენტალიტეტის ადამიანს შეუძლია თქვას, რომ საქართველომ დააწესა ემბარგო და რომ ხადარკოვსკისთან დაკავშირებით საქმე არც ისეა, როგორც მსოფლიო ლაპარაკობს.**

**მალაშხიას თქმით, ივანიშვილს არაფერზე პასუხი არ ჰქონდა.**

**„მან არ იცის, როგორი იქნება საგადასახადო სისტემა, არ იცის როგორ მოხდება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, არ იცის ავღანეთში გაუშვებს თუ არა ჯარს, ნატოსთან როგორ ითანამშრომლებს“, — აღნიშნა მალაშხიამ.**

**მისი თქმით, ივანიშვილი შეკითხვებს ვერ იტანს და სურს ისეთი კითხვები დაუსვან, რაც თავად აწყობს.**

**„ბიძინა ივანიშვილს ხელისუფლებაში მოსვლის თეორიული შანსიც არ აქვს“, — აღნიშნა მალაშხიამ.**

## ძიძიგურმა ივანიშვილის პრესკონფერენცია პოლიტიზებული იყოო

**„ეროვნული საბჭოს“ ლიდერ ზვიად ძიძიგურის განცხადებით, გუშინწინ გამართული ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენცია ყველაზე პოლიტიზებული იყო, რაც მას ცხოვრებაში უნახავს.**

**„არ იყო ყველა კითხვა დასმული, რომელიც საზოგადოებას აინტერესებდა. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ჟურნალისტები, რომლებიც იქ იყვნენ მისულები, მათი დიდი ნაწილი მომზადებული იყო ერთგვარად სახელისუფლებო პროპაგანდის შესაბამისი კითხვების დასასმელად. კითხვები იყო არა ყოვლისმომცველი. ეს პრესკონფერენცია გამოვიდა ცალმხრივი, რადგან იმ საკითხებზე თუ როგორი ტიპის სოციალური პროგრამა აქვს, როგორი ტიპის ბიზნეს გეგმები აქვს, როგორი ტიპის პოლიტიკური ორგანიზაცია უნდა ჩამოყალიბდეს, არჩევნებთან დაკავშირებული უფრო კონკრეტული კითხვები განხილული არ იყო“, — განაცხადა ძიძიგურმა.**

## ვახტანგ ბალავაძემ ივანიშვილს „პუტინის მესიჯების ღიად გამხმოვანებელი“ უწოდა

**ჟურნალისტებთან საუბარში ბალავაძემ განაცხადა, რომ საზოგადოებას ბევრი პოლიტიკური ძალა ახსოვს, რომლებიც რუსულ ინტერესებს ემსახურებოდა, მაგრამ ასეთი ღია არაფერი არ უნახავს.**

**„ივანიშვილმა არა მარტო ომში დაგვადანაშაულა, არამედ ემბარგოშიც. მე ვურჩევდი დაელაპარაკოს იმ ადამიანებს, ვინც გამოყარეს რუსეთიდან მაშინ, როდესაც თავად იქ მშვიდად იყო და მილიარდებს შოულობდა“, — განაცხადა ბალავაძემ.**

**ბალავაძის შეფასებით, ქართული საზოგადოება ფულზე, „განსაკუთრებით რუსულ ფულზე არ იყიდება“.**

მედიანიუსი

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# მილიარდერი ივანიშვილი საქართველოს რუსეთთან შერიგებას გვპირდება

**ქართველმა მეცენატმა და მილიარდერმა ბიძინა ივანიშვილმა თავის პირველ პრესკონფერენციაზე თბილისში განაცხადა, რომ გაიმარჯვებს არჩევნებში და დაიწყებს რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას.**

„ჩვენ უნდა გავაღრმავოთ ურთიერთობა ევროპასთან და ამერიკის შეერთებულ შტატებთან და დავიწყოთ რუსეთთან სიტუაციის მოწესრიგება დაუყოვნებლივ“, – ასე გამოხატა ივანიშვილმა თავისი გეგმები 2012 წლის პარლამენტის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ.

პრესკონფერენციამ, რომელიც დაახლოებით საათნახევარი გრძელდებოდა და გადაიცემოდა საქართველოს საზოგადოებრივი ტელემაუწყებლობის პირდაპირ ეთერში, გამოიწვია გაზრდილი ინტერესი პრესის წარმომადგენელთა მხრიდან.

ჟურნალისტები ერთმანეთს აწყვეტინებდნენ, ცდილობდნენ მიეცათ შეკითხვა ახლადწარმოჩენილ ოპოზიციონერთან. უმრავლესობისთვის ეს იყო პირველი შესაძლებლობა მიემართათ ივანიშვილისთვის.



ბიძინა ივანიშვილი, რომლის ქონებაც 2011 წელს ჟურნალმა „ფორბსმა“ 5,5 მილიარდ დოლარად შეაფასა, ამ ცოტა ხნის წინათ ცხოვრობდა თავის სოფელში დასავლეთ საქართველოში. ის იშვიათად ჩნდებოდა ტელეკამერების წინაშე და პოლიტიკიდან შორს იყო.

მაგრამ მისი განცხადების შემდეგ, რომ ერთვება პოლიტიკაში და აპირებს მონაწილეობა მიიღოს 2012 წლის პარლამენტის არჩევნებში, საქართველოში დაიწყეს საუბარი მმართველი პარტიის სერიოზული კონკურენტის გამოჩენის შესახებ.

ხელისუფლების წარმომადგენლები არაერთგზის სდებდნენ ივანიშვილს ბრალს თავის კავშირებში კრემლთან და მცდელობაში „იყიდოს ქართული პოლიტიკა“.

თავად იგი აცხადებს, რომ მოვიდა პოლიტიკაში თითქმის თავისი ნების წინააღმდეგ.

„მე ბოლომდე მჯეროდა, რომ შეიძლებოდა მიმეღწია შესაბამისი შედეგებისთვის ერთ-ერთი პარტიის დაფინანსებით და რჩევებით პარტიის გარედან,– აღნიშნა ივანიშვილმა. – მაგრამ, როდესაც დავრწმუნდი, რომ ეს საკმარისი არ იქნებოდა, მივიღე ჩემთვის მეტად მძიმე გადაწყვეტილება. გადავწყვიტე წავიდე პოლიტიკაში“.

არჩევნების შემდეგ, სადაც გამარჯვების ეჭვიც არ გააჩნია ივანიშვილს, ის დაგვპირდა შეიტანოს კონსტიტუციაში ცვლილებები, რომლებსაც ქართველ ხალხს შეუთანხმებს, აგრეთვე შექმნას სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები ბიზნესისთვის და სამუშაო ადგილები.

მაგრამ საკითხი იმის შესახებ, შეძლებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი 2012 წლის პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას და შექმნას თავისი პოლიტიკური პარტია, ჯერჯერობით ღიად რჩება. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ განაცხადა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა.

ოფიციალური მიზეზი გახდა ივანიშვილის მიერ საფრანგეთის მოქალაქეობის მიღება, მაგრამ ბევრს მიაჩნია, რომ ხელისუფლება ამ გზით ცდილობს თავიდან მოიშოროს სახიფათო პოლიტიკური კონკურენტი.

თავად ივანიშვილმა გამოთქვა რწმენა, რომ „საქართველოს მოსახლეობა, საერთაშორისო გაერთიანებასთან ერთად, შეძლებს აიძულოს პრეზიდენტი სააკაშვილი აღუდგინოს მას მოქალაქეობაზე კანონიერი უფლება“.

ამ დროს – არჩევნებში მიღების და მასში გამარჯვების მოპოვების შემთხვევაში – ივანიშვილი აპირებს უმალვე დააყენოს საკითხი მიხეილ სააკაშვილის იმპიჩმენტის შესახებ.

თბილისში პრესკონფერენციაზე მყოფი ქართველი ჟურნალისტების უმრავლესობას აინტერესებდა ბიზნესმენის კავშირურთიერთობანი რუსეთთან და ჩრდილოეთის მეზობელთან საქართველოს ურთიერთობის მისი შეფასება.

ბიძინა ივანიშვილმა თავისი პოლიტიკური კარიერის დასაწყისშივე განაცხადა, რომ აპირებს ჩააბაროს რუსეთის პასპორტი და არჩევნებამდე გაყიდოს თავისი ბიზნესი რუსეთში, რაც, მისი სიტყვებით, შეადგენს მისი კაპიტალის დაახლოებით 1,3.

ივანიშვილის სიტყვებით, ის რუსეთში არ ყოფილა 9 წელიწადია და არ არსებობს არანაირი დადასტურება ბრალდებებისა, რომლებიც გაისმის მისი მისამართით სამთავრობო ტელეარხების ეთერში, სადაც მას ხშირად „კრემლის პროექტს“, „კრემლის აგენტს“ ან „კრემლის იმედს“ უწოდებენ.

ამ დროს საქართველოში დიდ დავებს იწვევს ივანიშვილის განცხადებები 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დაწყებასთან დაკავშირებით.

ერთ-ერთმა ქართველმა ჟურნალისტმა მოითხოვა ივანიშვილისგან „კონკრეტული პასუხი“ შეკითხვაზე, მიაჩნია თუ არა მას რუსეთი ოკუპანტად.

„საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია რუსეთის მიერ და ეს არა მხოლოდ ჩემი განცხადებაა, ამას აღიარებს საერთაშორისო გაერთიანება და იყენებს ზუსტად ასეთ ტერმინებს რუსეთთან დაკავშირებით“, – უპასუხა ივანიშვილმა.

ივანიშვილმა განაცხადა, რომ იგი და მისი გუნდი დაიწყებენ რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებას არჩევნებში მისი მომავალი პარტიის გამარჯვების უმალვე.

„მე არ მაქვს ილუზიები, რომ ეს იქნება იოლი და არც განსაკუთრებული ფორმულა გამაჩნია. მაგრამ მაქვს დიდი იმედები ინტერესების დამთხვევასთან დაკავშირებით“, – განმარტა ბიზნესმენმა.

ივანიშვილის აზრით, სიტუაცია, რომელიც შეიქმნა საქართველოდან გამოყოფილ რეგიონებთან – აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით, ხელს არ უნდა აძლევდეს მოსკოვს საერთაშორისო გაერთიანებასთან ურთიერთობის კონტექსტში, არც რუსეთის საშინაო უშიშროების საკითხში.

ამ დროს ბიძინა ივანიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველომ უნდა მოაწესრიგოს ურთიერთობა რუსეთის ხელისუფლებასთან, რომელსაც რუსი ხალხი აირჩევს.

BBC RUSSIAN.com

# საქართველო თურქი მესხების რეპატრიაციას აჭიანურებს?

**საქართველოს ხელმძღვანელები აჭიანურებენ თურქი მესხების ისტორიულ სამშობლოში რეპატრიაციის პროცესს, ცდილობენ საფინანსო პასუხისმგებლობა თურქების დაბრუნებისთვის დააკისრონ ევროკავშირს და მათ განსახლებას აპირებენ მხოლოდ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და არა კომპაქტურად. ასეთი განცხადება ამ დღეებში გააკეთა ჰუმანიტარული კვლევების საზოგადოების თავმჯდომარემ ავაზ გასანოვმა.**

„თბილისში ეშინიათ, რომ სამცხე-ჯავახეთში, ახალციხეში, აბასთუმანში, იმერეთში, გურიაში, ნინოწმინდასა და ქვეყნის სხვა რაიონებში მშობლიურ კერას დაბრუნებული თურქი მესხები დაიწყებენ კონფლიქტს ამ სოფლებში მცხოვრებ სომხებთან, სვანებთან და სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან, რომლებიც დასახლდნენ ამ ადგილებში თურქების დეპორტაციის შემდეგ“, – თქვა მან. გასანოვის სიტყვებით, საქართველოში სომხური ორგანიზაციები ძლიერ ზემოქმედებას ახდენენ თბილისზე, რათა ხელი შეუშალონ თურქების დაბრუნებას. „მეორე მხრივ, ქართული ელიტის ეროვნულ ნაწილს არ სურს თურქების დაბრუნება, რათა არ შეამცირონ ქვეყანაში ძირითადი – ქართული ერის წარმომადგენელთა ხვედრითი წონა, რომელიც გეგმიურად მცირდება დემოგრაფიული პრობლემებისა და ემიგრაციის შედეგად“, – განაცხადა გასანოვმა.

თურქი მესხების საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები დაჟინებით მოითხოვენ, რომ ისინი საქართველოში კომპაქტურად უნდა ცხოვრობდნენ იმ სოფლებსა და რაიონებში, რომლებიც დატოვეს მათმა მშობლებმა 1944 წელს. როდესაც ევროსაბჭოში შედიოდა, საქართველომ იკისრა ვალდებულება უზრუნველყოს თურქი მესხების დაბრუნება და განთავსება ქვეყანაში. მიმდინარე წლის უკანასკნელ დღეს იწურება თურქების მიერ განცხადების შეტანის ვადა საქართველოში დაბრუნების შესახებ. ამ ქვეყანაში დაბრუნდა და მიიღო იურიდიული სტატუსი 75 თურქმა. განცხადებები საქართველოში დაბრუნების შესახებ შემოტანილია დაახლოებით 5400 კაცის მიერ, განცხადებათა ოდენობა კი მუდმივად იზრდება, გადმოგვცემს პორტალი. თურქების რეპატრიაციის პროცესი დაიწყო 80-იანი წლების მეორე ნახევარში. 1989 წელს პროცესი დროებით შეჩერდა, 1993 წელს კი განახლდა, თუმცა მეტად უმნიშვნელო მასშტაბით. მიაჩნიათ, რომ თურქების რეპატრიაციის შეწყვეტის მიზეზი საქართველოს კანონმდებლობაში სამართლებრივი საფუძვლების უქონლობაა.

იმისთვის, რომ მიაღწიონ თავიანთ უფლებებს, თურქებმა უნდა იცოდნენ ქართული ენა, შეისწავლონ საქართველოს ისტორია და კანონები და ამ ცოდნის წყალობით მოახდინონ ინტეგრირება საქართველოს თანამედროვე საზოგადოებაში, მიაჩნია გასანოვს. „რეპატრიაციის პროცესი – საქართველოს სახელმწიფოსთვის რთული და ახალია. საქართველოს მოხელეები სწავლობენ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ხალხების დაბრუნების გამოცდილებას. მიმაჩნია, რომ, როდესაც მიიღებს საკმარის ცნობებს რეპატრიაციის სამართლებრივ და ადმინისტრაციული პროცესის შესახებ, საქართველოს მთავრობა დაიწყებს ამ რთულ პროცესს. მისი სირთულე არა მხოლოდ თურქების მოთხოვნაშია დასახლდნენ მთელ საქართველოში, და არა მათი ისტორიული ცხოვრების ადგილებში. საკითხი შეეხება აგრეთვე რეპატრიანტების პოტენციურ ოდენობასაც. 1944 წელს საქართველოდან ძალით გაასახლეს 44-45 ათასი თურქი მესხი. ცენტრალურ აზიასა და აზერბაიჯანში ცხოვრების წლებში მათმა ოდენობამ ნახევარ მილიონს მიაღწია. საქართველოში, რომლის მთელი მოსახლეობა არ აჭარბებს 3,5 მილიონს, ნახევარი მილიონი მსურველის დაბრუნებას საშინელებას უწოდებენ.

„ჩვენთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია მივიღოთ საქართველოს მოქალაქეობა და უფლება ვიცხოვროთ ქვეყნის იმ ადგილებში, რომლებიც ისტორიულად ჩვენია. როდესაც ასეთ შესაძლებლობას მივიღებთ, გადავწყვეტთ – დავრჩებით საქართველოში თუ ავირჩევთ ნებისმიერ სხვა ადგილს პლანეტაზე ცხოვრებისთვის“, – განაცხადეს თურქი მესხების წარმომადგენლებმა მოვლუდ ურფანოვმა და შეხმარდან ოსმანოვმა, რომლებიც საატლინის რაიონის სოფელ ადიგიუმში ცხოვრობენ.

სოფელ ადიგიუმში 3665 თურქი ცხოვრობს. „ჩვენ მოვაწყეთ თურქი მესხების აზრის შესწავლა. ჩვენს კითხვებს უპასუხა აზერბაიჯანის ამ რაიონში მცხოვრებმა 150 კაცმა, რომელთა დიდ უმრავლესობასაც სურს საქართველოში დაბრუნება და სწორედ იმ სოფლებში, რომლებიც მათმა მშობლებმა დატოვეს სტალინის მითითებით. თურქებისთვის მნიშვნელოვანია დაბრუნდნენ თავიანთი წინაპრების საფლავებთან. სრულიად სხვა საქმეა, რომ, როდესაც საქართველოს მოქალაქეები გახდებიან, თურქ მესხებს შეეძლებათ გადავიდნენ საცხოვრებლად ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ისევე, როგორც ამის უფლება საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს აქვს“, – განაცხადა ჰუმანიტარული კვლევების საზოგადოების პროექტის კოორდინატორმა ქერიმლიმ.

სოფელ ადიგიუმში გახსნილია ჰუმანიტარული კვლევების საზოგადოების ოფისი, სადაც თურქებს შეუძლიათ მიიღონ სამართლებრივი დახმარება საქართველოში დაბრუნებისთვის, გაეცნონ ამ ქვეყნის კანონებს და შესაბამისი დოკუმენტების შევსების წესს.

„საქართველოს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ტოლერანტთან“ ერთად, რომელიც საქართველოს სამცხე-ჯავახეთის რეგიონშია, ევროკომისიის სახსრებით და მშვიდობისა და განვითარების ინსტიტუტის მონაწილეობით (ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელია საქართველოს განათლების ყოფილი მინისტრი გია ნოდიაძ, ჩვენ ვასრულებთ პროგრამას „საინფორმაციო ცენტრის შექმნა დეპორტირებული ხალხებისთვის“, – გვაცნობა ამ ცოტა ხნის წინათ ავეზ გასანოვმა.

Зеркало

## დედამიწის ზურგზე



**ექსპერტები: მსოფლიო შედის ახალი ბირთვული შეიარაღების ეპოქაში – რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ამისთვის მილიარდებს დახარჯავენ**

ბევრი დიდი სახელმწიფო, მიაჩნიათ სპეციალისტებს, ამჟამად ახორციელებს მთელ რიგ პროგრამებს ბირთვული შეიარაღების არსებული და ახალი სახეების და მათი ადგილზე მიტანის საშუალებების შექმნისთვის. ამ მოძრაობის ავანგარდში იქნებიან რუსეთი და ამერიკის შეერთებული შტატები, თუმცა, ვაშინგტონში მზად არიან ამაზე ათჯერ მეტი დახარჯონ.

**აშშ-ს დასავლეთში დააცალკევეს სიამელი ტყუპები ფილიპინებიდან**



ორი წლის ანჯელინა და ანჟელიკა საბუკოებს ჰქონდათ საერთო ღვიძლი, მკერდი, ნეკნები და კუჭის კედლების კუნთების ქსოვილები. ექიმები ჯერჯერობით კმაყოფილი არიან ოპერაციის მსვლელობით, რასაც 9 საათი დასჭირდა. ახლა კლინიკაში პატარებს ასწავლიან მოძრაობას და დამოუკიდებლად მოქმედებას.

**„ფუკუსიმა-1“-ზე აღინიშნა არაკონტროლირებული ბირთვული რეაქცია**

მის ჩასახშობად ღამით დაიწყეს ბორისმჟავიანი წყლის გადაქაჩვა. მმართველი კომპანიის მონაცემებით, მეორე რეაქტორში არ ფიქსირდება ტემპერატურის, წნევის ან რადიაციის დონის ამაღლება.

**კანადამ აშშ-ს კვალდაკვალ შეწყვიტა იუნესკოს დაფინანსება მასში პალესტინის მიღების შემდეგ**

როგორც კანადის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელმა ჯონ ბერდმა განაცხადა, პალესტინის მიღება სრულუფლებიანი წევრის უფლებით ხელს არ უწყობს ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას. უფრო ადრე ბერდი აცხადებდა, რომ კანადა „არ არის მოხარული იუნესკოს გადაწყვეტილების გამო“. ყოველწლიურად კანადა ორგანიზაციას 10 მილიონ დოლარს ურიცხავს.

